645
1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ქალი

№ 2 თებერვალი 1959 წ.





XXI ყრილობის დელეგატები საქართველოდან: მარცხნიდან — კოლმეურნეობის ბრიგადირი ფატი წითელაძე, მეჩაიე ტატიანა ტყებუჩავა, მკერავი პოლინა ბოგდანოვა, მუშა მარიამ არველაძე, მეთამბაქოე ეკატერინე ანქვაბი კრემლში.

ფოტო ი. ხალიპის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნიზმის მშენებლობის დიდებული სიმფონია

ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს მილიონობით ადამიანი — ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ყველა როგორც ერთი, უსაზღვრო სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ადევნებდა თვალყურს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მუშაობას. ცხრა დღის მანძილზე მოსკოვისაკენ იყო მიპყრობილი მთელი მსოფლიოს ხალხთა დაძაბული ყურადღება. ეს დღეები ჩვენი პარტიის ისტორიაში შევა, როგორც უბრწყინვალესი და უდიდებულესი ფურცლები.

რიგგარეშე XXI ყრილობამ შეიმუშავა კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული და უბადლო პროგრამა. განსაზღვრა პარტიის სტრატეგიული ხაზი უახლოესი შვიდი წლისათვის და ამავე დროს შეაჯამა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებათა შედეგები.

საბჭოთა ხალხზე და შორს, მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ადამიანებზე, ყრილობის დელეგატებზე და მოძმე პარტიების წარმომადგენლებზე დიდი შთამაგონებელი შთაბეჭდილება მოახდინა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებამ „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-65 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ“.

„პერიოდი, რომელმაც განვლო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ, — აღნიშნულია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, — ხასიათდება ჩვენი პარტიის შემდგომი ზრდით. მისი რიგების ერთიანობის განმტკიცებით. კომუნისტური პარტიის გარშემო საბჭოთა კავშირის ხალხების კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირებით. ახორციელებდა რა XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, პარტიამ კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი მასებთან, შეიძინა პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და ორგანიზატორული საქმიანობის ახალი გამოცდილება. და ამ უკანასკნელ პერიოდში პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მიერ საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში განხორციელებულმა ღონისძიებებმა განუზომლად აამაღლა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება და ავტორიტეტი, ხელი შეუწყო ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მსოფლიო სოციალისტური ბანაკის გაძლიერებას. ცენტრალური კომიტეტის სწორმა პრინციპულმა პოლიტიკამ, ხელმძღვანელობის ლენინური ნორმების აღდგენამ, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შემოქმედებითად გადაწყვეტამ და ხალხის მასებთან უშუალო კავშირმა განაპირობა ჩვენი ქვეყნის ყველა მიღწევა.

ყრილობის დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თანმიმდევრული პრინციპული პოლიტიკა, რომლის შედეგად იდეურად განადგურებულ იქნა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინისა და შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც ცდილობდა ლენინური გზისაგან აეცდინა პარტია, დაენგრია მისი ერთიანობა და ჩაეფუშა XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება.

ხელმძღვანელობდა რა მარქსისტულ-ლენინური თეორიით, პარტიამ მიიყვანა ჩვენი ხალხი სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებამდე, და ახლა სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლასთან დაკავშირებული მთელი რიგი თეორიული საკითხების გაშუქება XXI ყრილობაზე უდიდესი წვლილია კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ახალ ისტორიულ პერიოდში.

ყრილობის მიერ დამტკიცებულმა შვიდწლიანმა გეგმამ საყოველთაო-სახალხო პატრიოტული აღფრთოვანება და ახალი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია. ყველგან, საწარმოებსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, სადაც ფართოდ განიხილეს და განიხილავენ ყრილობის მასალებს, მშრომელები ახალ კონკრეტულ ვალდებუ-



პიონერები მიესალმებიან ყრილობას.

ფოტო ვ. სევასტიანოვისა და ვ. ეგოროვის.

ლებებს კისრულობენ შვიდწლედის დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საბჭოთა ხალხის ფიქრები და თვალი მიპყრობილია ჩვენი დიადი პარტიისადმი, ამის ნათელი დადასტურებაა მისი რიგების ზრდა. პარტიის XX ყრილობიდან XXI ყრილობამდე პარტიაში ერთ მილიონზე მეტი კაცია მიღებული.

ყრილობამ ნათლად დაადასტურა არა მარტო საბჭოთა ხალხის ერთიანობა და დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, არამედ იგი გადაიქცა ყველა ქვეყნის მარქსისტულ-ლენინური პარტიების ერთიანობისა და ურღვევი მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საზღვარგარეთის 72 კომუნისტური და მუშათა პარტიის დელეგაციებმა, რომელთა ხელმძღვანელებმა საბჭოთა კავშირის ხალხს გულწრფელი მეგობრობისა და სოლიდარობის სურვილები გადასცეს თავიანთი ქვეყნების კომუნისტების, მუშათა კლასისა და მილიონობით მშრომელის სახელით, ამასთანავე გამოსთქვეს თავიანთი აღტაცება შვიდწლედის დიდებული გეგმის გამო. ღრმა კმაყოფილებით აღნიშნავდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მონოლითურ ერთიანობას, მის ერთგულებას მარქსიზმ-ლენინიზმის დროშისადმი, ლაპარაკობდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაზე, როგორც მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მოწინავე რაზმზე, რომელსაც პირველს მიჰყავს ხალხი უკვალავი გზით ნათელი მომავლისაკენ.

„საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობისათვის, მთელი დემოკრატიული ძალებისათვის, — აღნიშნა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში, — ჩვენი შვიდწლიანი გეგმა წარმოადგენს მძლავრ მორალურ მხარდაჭერას მათ ბრძოლაში რეაქციისა და იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ. აღწევს რა ახალ გამარჯვებებს კომუნიზმის მშენებლობაში, საბჭოთა ხალხი შეასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშე“.

კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა ავანგარდში მძლავრ ძალას წარმოადგენს საბჭოთა ქალი. პარტია და ხელისუფლება, დიდად აფასებს რა ამ ძალის, შვიდწლიანი გეგმის პერსპექტივებში ითვალისწინებს სერიოზულ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს ქალთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა — „**საბჭოთა ქალები აქტიური ძალაა სახელმწიფო, პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, ისინი მამაკაცების თანაბრად სარგებლობენ სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეთა ყველა უფლებით.** მაგრამ ბევრი ქალი მთელ დროს ახმარს საოჯახო საქმეებს, ბავშვების მოვლას, რაც უძნელებს მას აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უნდა შევქმნათ პირობები, რომელნიც საშუალებას მისცემენ ყველა ქალს უფრო ფართოდ გამოიყენოს თავისი უფლებები, ცოდნა, თავისი ნიჭი, საწარმოო, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის ასპარეზზე“.

შვიდწლიანი გეგმის პერსპექტივებში დასახულია სკოლა-ინტერნატების, საბავშვო ბაგების, ბაღების ფართო ქსელის მშენებლობა. მოსწავლეთა რიცხვი სკოლა-ინტერნატებში 1965 წელს სულ ცოტა 2 მილიონ 500 ათასი იქნება, ბავშვების რიცხვი საბავშვო ბაღებში გაიზრდება 2 მილიონ 280 ათასიდან 4 მილიონ 200 ათასამდე, გათვალისწინებულია ყველა ბავშვს მიეცეს სკოლა-ინტერნატებში აღზრდის საშუალება. გაფართოვდება საზოგადოებრივი კვების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი და სხვა.

საბჭოთა კავშირის ქალები და მათთან ერთად საქართველოს ქალები, რომლებმაც კომუნიზმის მშენებლობაში საქმით დაამტკიცეს თავისი ძალა და უნარი, აღფრთოვანებულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის დადგენილებით, შრომითი გმირობის მაგალითებს იძლევიან.

ამჟამად ამ უდიდეს სიხარულს თან ერთვის მოკავშირე რესპუბლიკათა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არჩევნებისათვის მზადება. ჩვენს რესპუბლიკაში უკვე დაიწყეს დეპუტატების კანდიდატების დასახელება, მათ შორის დასახელებული არიან ისეთი ქალები, რომლებიც შესანიშნავად ათავსებენ დედის, მეუღლის, მეგობრის, საზოგადო მოღვაწის, შრომის ნოვატორის დიდსა და საპატიო მოვალეობას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ თავისი გამოსვლის დასასრულს საქართველოს კომუნისტთა 220.000 არმიის სახელით, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით პირობა მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას, რომ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით საქართველოს პარტიული ორგანიზაცია დარაზმავს მასებს კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ ამ პირობის გასანაღდებლად.



სურათზე—სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები— ა. ი. მიქოიანი და ა. ი. კირიჩენკო ყრილობის დელეგატებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნადეჟდა კრუპსკაია

(დაბადების 90 წლისთავი)




ნ. კ. კრუპსკაია პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების პროფმუშაკთა პირველი ყრილობის ქართველ დელეგატებს შორის.

ლენინის უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას ხსოვნას სათუთად ინახავს საბჭოთა ხალხი.

მძიმე და სახელოვანი იყო ნ. კრუპსკაიას ცხოვრების გზა. იგი ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა კლასობრივი ძალმომრეობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის იდეამ. რევოლუციური მოღვაწეობა გასული საუკუნის 90-იან წლებში. პირველ მარქსისტულ წრეებში დაიწყო. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა უფრო ჩამოყალიბებული და მიზანსწრაფული გახდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გაცნობის შემდეგ.

— 1894 წელს,—იგონებს ნ. კრუპსკაია, — პიტერში ჩამოვიდა ვლადიმერ ილიას-ძე. ამის შემდეგ საქმე ბევრად უკეთესად წარიმართა, ორგანიზაცია ჩქარა განმტკიცდა. მე ვლადიმერ ილიას-ძესთან ერთად ვმუშაობდი ერთ რაიონში და მალე ძალიან დავმეგობრდით.

მერმე ხანგრძლივი წლების მანძილზე ეწეოდა იგი ვ. ი. ლენინთან ერთად უდიდეს პოლიტიკურ და სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით უაღრესად რთულ და საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებდა რუსეთში კომუნისტური პარტიის შექმნისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ნ. კრუპსკაია თავდადებულად იბრძოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადება-გატარებისა და შემდეგ მის მონაპოვართა განმტკიცებისათვის. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების დღიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ეჭირა მას ხელმძღვანელი თანამდებობა სახალხო განათლების დარგში.

ნ. კრუპსკაია შესანიშნავად ათავსებდა მაღალ პასუხსაგებ თანამდებობას მრავალი სახის საზოგადოებრივ საქმიანობასთან. ამასთან ეწეოდა პედაგოგიურ-თეორიულ მუშაობას, წერდა მუშათა მოძრაობის, ქალთა შორის მუშაობის, კულტურული რევოლუციისა საერთოდ და კერძოდ, კომუნისტური აღზრდის საკითხებზე. გამოდიოდა სიტყვებითა და მოხსენებებით მასწავლებელთა, მუშა და გლეხ ქალთა ყრილობებზე და ნორჩ პიონერთა შეკრებებზე, მილიონობით მშრომელს აძლევდა ახსნა-განმარტებებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საკითხებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნ. კრუპსკაიას როლი მშრომელ ქალთა განთავისუფლების საქმეში. მას ღრმად ჰქონდა შეგნებული ის, რომ კლასობრივ საზოგადოებაში ყველაზე მეტად იჩაგრება მუშა ქალი, ვინაიდან მის მძიმე შრომას წარმოებაში, უუფლებობას საზოგადოებაში, ემატება უმწეო და უუფლებო მდგომარეობა ოჯახურ ურთიერთობაში.

ციმბირში, სოფ. შუშენსკოეში, სადაც იგი გადასახლებაში იყო ვ. ი. ლენინთან ერთად, დაწერა ბროშურა — „მუშა ქალი“.1) ამ ბროშურაში, აგვიწერს რა მუშა ქალის მძიმე მდგომარეობას საზოგადოებრივსა და ოჯახურ ურთიერთობაში, ნ. კრუპსკაია ეძებს გამოსავალს, გზებსა და საშუალებებს მშრომელ ქალთა ადამიანურ უფლებებში ჩაყენებისათვის. ბროშურის დასკვნით ნაწილში იგი წერს:

პოლიტიკური ბრძოლა აი ის გზა, რომლითაც მუშებს შეუძლიათ მიაღწიონ თავიანთი მდგომარეობის არსებით გაუმჯობესებას. შრომითი პირობების გაუმჯობესების, პოლიტიკური თავისუფლებისა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში მუშა მამაკაცებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული ივლიან მუშა ქალებიც.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, რომლის გამარჯვებით დაგვირგვინებისათვის მამაკაცების მხარდამხარ იბრძოდნენ მშრომელი ქალები, ნ. კრუპსკაიამ წინა პლანზე წამოაყენა ქალთა გათვითცნობიერების საკითხი, განსაკუთრებით ის, რომ მშრომელი ქალები დაუფლებოდნენ მეცნიერულ და პოლიტიკურ ცოდნას, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, გაეჩაღებინათ ბრძოლა ძველი, მავნე ყოფაცხოვრებითი გადმონაშთების წინააღმდეგ. ნ. კრუპსკაია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მშრომელ ქალთა ფაქტიური განთავისუფლების საქმეს, სახელდობრ, საბავშვო ბაღებისა და ბაგების ქსელის ზრდას, საზოგადო სამრეცხაოებისა და სასადილოების გახსნას, დედის უფლების დაცვას და სხვ., იგი მოუწოდებდა ჩვენი ქვეყნის ქალებს ყოფილიყვნენ საუკეთესო დედები, მოზარდი თაობის, ჩვენი მომავლის ღირსეული აღმზრდელები.

დიდია ნ. კრუპსკაიას დამსახურება ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის განხორციელების საქმეში. მისი შრომები სახალხო განათლების, კერძოდ, საბჭოთა სკოლისა და კომუნისტური აღზრდის საკითხებზე საბჭოთა პედაგოგიკის მნიშვნელოვანი შენაძენია.

საქართველოს მშრომელები ყოველთვის მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობით მოიგონებს დიდი ლენინის ცხოვრების თანამგზავრსა და თანამებრძოლს ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას.

დოცენტი **ნადეჟდა ჯანგველაძე.**

---

1) ბროშურა „მუშა ქალი“ პირველად გამოიცა საზღვარგარეთ, გაზეთ „ისკრის“ რედაქციის მიერ.

ზეიმია, საბჭოთა საქართველოს დაბადების დღე. ყვავილწნულებს შემოუსალტავს ქალაქი. ნაირფერი ნათურები მძივებად აკინძულა ქუჩებში, ალისფერი ალმები აღმართულა...

მაღალი სახლის აივანზე თმათეთრი მანდილოსანი წარსულზე ფიქრობს.

* * *

ფარდაგივით გაფენია კოინდარი სასახლეს ფერხთით და ასწლოვან მუხის ჩრდილში ცალფეხზე მდგარი მარმარილოს მრგვალი მაგიდა სოკოსავით მოჩანს... გარედან შესცქერის მართა დიდებულ სასახლეს, რომლის კარები მისთვის აროდეს გაღებულა...

ის ჭუჭყიანი გოგოა, ცხვრების და თხების მომვლელი, ცხვრის ქურქივით თმებშეთელილი და თმებხვეულა, მიწაზე ნაწოლი და მიწანაჭამი ფრჩხილებიანი.

გროშებს ღებულობს მართა თხა-ცხვრის მოვლაში, ისიც დედინაცვალს მიაქვს. მამაც არა ჰყავს მართას, მამითაც დაობლდა იგი.

პატარაა მართა, იმიტომაც ებრალება პატარები. თიკნებსა და ბატკნებს გულში იხუტებს, ჰკოცნის. თიკანს ხანდახან თხასთან მიუშვებს, ძუძუს გამოაწოვინებს. თვითონაც მოსწოვს თხის ძუძუს, როცა გული უღონდება შიმშილისაგან.

იმ დღეს სცემეს მართას: რად მოიწველა თხამ ცოტაო. და მართა ტირის, ჩუმად ტირის...

რა არის იმ სასახლეში? — ფიქრობს მართა და ოცნებით ცას გასცქერის, მაგრამ ცაზეც ცხვრებს ხედავს, ხვეული ღრუბლების ცხვრებს.

არაფერი უნახავს მართას ცხვრების და თხების გარდა. თუმცა ერთხელ კაბა ნახა, თავადის ქალის საქორწინო კაბა, თეთრი და ფარფატა, უწინ თოვლად ეჩვენებოდა მართას ის ღრუბელი, ახლა კი კაბად ეჩვენება, თეთრ საქორწინო კაბად.

ის კაბა ელანდება მართას, იმ კაბაზე ოცნებობს და უფრო ხშირად უცქერის ზეცას, იქნებ ღრუბლები გამოჩნდეს ცაზე ფარფატა და თეთრიო. და აფარფატდა ერთ დღეს ფირუზისფერ ცაზეღრუბელი თეთრი, და შემოევლო თხელ ქსოვილად კოპბლიან გოგო-ღრუბელს, ცხვრის ქურქივით თმებხვეულას. ის მართაა, მწყემსი მართა საქორწინო თეთრი კაბით შემოსილი. — არა, არა! ნუ თუ ეს შეიძლება?!

— არ შეიძლება, არა! — იმიტომაც აიშალა ღრუბელი და წაიშალა საოცნებო სურათი ცაში.

ასე ვიდოდნენ წლები. იზრდებოდნენ ბატკნები და თიკნები. იზრდებოდა მართაც. წელით კოკის ყელს დაემსგავსა, მკერდი აუმაღლდა. თმების ვარცხნა დაიწყო მართამ, ხელპირის ხშირი ბანაც...

სწორედ მაშინ მოვიდა თავადის კარზე სანდრო მეეტლე. მართასავით თმებხვეულა, მართასავით შავგვრემანი და სწორედ მაშინ დაიწყო მართამ კურკანტელების მძივების ტარება, გვირილების ქუდის დახურვა.

— გვირილები გშვენის, კურკანტელებიც გშვენის! — უთხრა სანდრომ მართას ერთ დღეს.

და აენთო მართა კურკანტელას მარცვალივით და ბოსლისკენ გაჰქუსლა. ღამით კი ჩუმად იცინა და პაწია თიკანს ეფერა.

— მოდი, ჯვარი დავიწეროთ! — უთხრა სანდრომ მართას მეორედ.

— გაგიჟდი! — შესძახა მართამ.

— რად გავგიჟდი, ოცი წლისა ვარ, შენა?

— თექვსმეტის! — მიუგო მართამ და კვლავ იცინა ბოსელში, ჩუმად. სიზმრად კი თეთრი საქორწინო კაბა იხილა...

ფეხშიშველი ჩაჯდა ეტლში ხამისკაბიანი მართა. თავს გვირილების გვირგვინი ედგა, ყელს კურკანტელების მძივები ება.

ალბათ მთვარეც იმიტომ იღიმებოდა. ასე გაოგნებულად უკანა ჭიშკრიდან გავიდა ეტლი. ეძინა სოფელს, ეძინა თავადს.

* * *

ეკლესიის გალავნამდე მიაცილა მთვარემ ეტლი. მთვარის შუქზე შეაფასა წინასწარ გაბრთხილებულმა მღვდელმა „მსუქანი“ ლუკმა: „ბატონიშვილები მეწვივნენ, მალულად ჯვარსაწერადაო“, —გაიფიქრა როცა ეტლს შეხედა, მაგრამ როგორი ელდა ეცა, როცა ტაძარში ფეხშიშველა დედოფალმა და დაფლეთილქალამნებიანმა ნეფემ შემოაბიჯეს.

—არა, მე თქვენ ჯვარს არ დაგწერთ! — შესძახა მღვდელმა ჯვარის აქნევით.

— დაგვწერ! — მიუგო სანდრომ.




ქ. თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკა. გამომჭრელთა ბრიგადის წევრები: ა. გჟაბოვიჩი, ტ. რიაზანცევა, ა. უშმაევა (ბრიგადირი), ლ. ბეადარი, ლ. კარმანცევა, ა. დომნენა ეცნობიან XXI ყრილობის მასალებს.

ფოტო ლ. იაკობაშვილის.

# საქორწინო კაბა



**თამარ ჩხაიძე** — მოთხრობა — მხატვარი დ. ერისთავი

...ხმის კანკალით აკურთხა მღვდელმა ისინი ცოლქმრად. ხელის კანკალით ჩასწერა საქორწინო წიგნში ცისკარაშვილად მართა.

და გაჰქანდა ეტლი ისე სწრაფად, რომ მართა გაფითრდა გვირილასავით.

შემდეგ ეტლი ტყის პირად იდგა, აშვებული ცხენები სძოვდნენ. სანდრო ეტლში მართასთან იჯდა და ეუბნებოდა:

— მე შენ სასახლეს გაჩუქებ.

— გაგიჟდი!

—მე შენ მამულებს გაჩუქებ!

— გაგიჟდი!

— ჩვენია ყველაფერი, ხალხისაა..

— გაგიჟდი!

კიდევ უთხრა მართამ ერთხელ სანდროს: — გაგიჟდიო, — მაგრამ მაშინ მთვარემაც აარიდა თვალი იმათ...

* * *

დილა იყო უღრუბლო დილა, როცა შორით ღრუბელივით შავოსანი აისახა, ის მღვდელი იყო. თავადი და ბოქაული მოყვებოდნენ. სულ ბოლოს კი მწკრივად, სარებივით გაჭიმული ხიშტებიანი სტრაჟნიკების სილუეტები ისახებოდნენ.

არ გაუგიათ ეტლში ნეფე-დედოფალს იმათი მოსვლა, ისე ტკბილად ეძინათ ურთიერთ გადახვეულებს.

...შეშლილივით უცქეროდა მართა ხელფეხშებოჭილ სანდროს.

— ეს არის გლეხების ჯანყის თავი, ეს აჩენდა სასახლეებში ხანძრებს. ეს იყო ყაჩაღად გავარდნილი სტუდენტიო, — თქვა ბოქაულმა და თავადს მშვიდობით გადარჩენა მიულოცა.

ისევ მიჰქროდა ეტლი. მიაქროლებდა სანდროს და სტრაჟნიკებს, და მისდევდა მართა ეტლის კვალს: თმებგაწეწილი, თვალცრემლიანი. ფეხსისხლიანი.

* * *

— შენს ქმარს ვეღარ იხილავ. ციმბირში უკრეს თავი! — უთხრეს მართას ციხეში.

და კვლავ მისდევდა მართა ეტაპს: ხედავდა თავგადაპარსულ სანდროს, ესმოდა ჯაჭვის ჩხრიალი, და მისტიროდა შავი თვალები თავის შავბნელ ბედს.

მართა ქალაქში დარჩა მრავალბეჭდებიან ქალბატონთან მოსამსახურედ.

ცხრა თვეს იკრა მართამ მუცელი. ცხრა თვეს მალა ფეხმძიმობა. მაგრამ ცხრა თვის შემდეგ რაღას გააწყობდა?! უბიძგეს მართას ბეჭდებიანმა ხელებმა, გააგდეს გარეთ, ვის რად უნდოდა ორშვილიანი დედა მოახლედ?!

მართას ხომ ტყუპი ეყოლა: გოგო და ბიჭი.

— ვაიმე შვილებო, ვაიმე! — ტიროდა მართა და გამვლელებს თავს უხრიდა დაბლა: მიშველეთ თქვენი ჭირიმეთო.

და მიასწავლეს მართას უსახლკარო ბავშვთა თავშესაფარისკენ, უთხრეს: შვილები გააშვილეო.

— ვაიმე, შვილებო, ვაიმე, შვილებო! — უფრო მწარედ შეჰკივლა მართამ. მაგრამ სხვა საშველი რომ არ იყო, იქ მიიყვანა შვილები. მეორე დღეს კი თვითონაც მიადგა თავშესაფარს — საქმეზე დამაყენეთო.

— საქმე არა გვაქვს! — ცივად მიუგეს მართას.

— შენი ჭირიმე, ქირა არ მინდა, პურისათვის დავდგები, სოფლად არ მიმესვლება, დედინაცვალმა გამომაგდო, — ატირდა მართა.

მაშინ უთხრეს — ღამის მსახურის ადგილი გვაქვსო, ბავშვები ძალიან ბევრი გვყავს, ორიც სულ ჩვილებია, ბოთლებით რძე უნდა ასვაო.

—ყაბულს ვარ, ბატონო, — დაბლა უკრავდა თავს გამგეს.

და მიიღეს ღამის მსახურად. დღისითაც მრავალს აწანწალებდნენ: არეცხინებდნენ, ახეხინებდნენ, წყალს აზიდვინებდნენ. ღამით ხომ თავს ევლებოდა ყველა ბავშვს: საბნებს უსწორებდა, წყალს ასმევდა, ღამის ქურჭელს აწოდებდა, ყველას კოცნიდა, ყველას თავზე უსვამდა ხელს და როცა ყველას მაგრად ეძინა, თავის შვილებს ბოთლის რძის ნაცვლად ძუძუს აწოვებდა და თან ჩუმად ჩურჩულებდა: „მე დედა ვარ თქვენი, დედა, გესმით?“

არაფერი ესმოდათ ჩვილებს, მაგრამ მართა მაინც უჩურჩულებდა: დღითი-დღე. თვე და თვე, სანამ ბავშვებმა არ გაუღიმეს, სანამ არ უთხრეს:

— დე-დააა!

„ოღონდ არავის მოეწონოს, ოღონდ არ გააშვილონ“! — ფიქრობდა მართა. მაგრამ სწორედ მისი შვილები აირჩია თავშესაფარში მოსულმა ქალბატონმა, რომელსაც ხელში ვეება, ცისფერბანტიანი ფინია ეჭირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეორე დღესვე წაიყვანდა, რომ ღამით მართას არ გაეტაცნა შვილები. სად არ ატარა, სად არ მალა საწყლებმა. იპოვეს მაინც. შეიპყრეს და ერთი წლის ციხე მიუსაჯეს ბავშვების ქურდობისათვის. ამაოდ ყვიროდა მართა: ჩემია, ჩემი შვილებია, მამაც ჰყავთ კატორღაშიო.

აბა ვინ მოუსმენდა მართას! საკანში ჩაკეტეს.

შორს ისმოდა მართას ტირილი, უფრო შორს კი, თავშესაფრის კედლებს მართას შვილების ტირილი იკლებდა. არ წაიყვანა ისინი თმახუჭუჭა ფინიას პატრონმა ქალბატონმა:

— კატორღელის შვილებისგან უფალმა დამიფაროსო.

* * *

დღე-ღამ იტირა მართამ საკანში, სახე იკაწრა, ცივ კედლებს თავი ახალა. სული მაინც გაათრია ერთ წელს. ელირსა ციხიდან გამოსვლა. ვიღაც დალოცვილი მატიმრის წერილით მიდიოდა ქარხნის ბარაკისაკენ. „ჩვენი სოციალისტის მეუღლეა, უშველეთ რამეო", — ეწერა ბარათში. და მართლაც უშველეს — ქარხანაში მოაწყვეს შავ მუშად. მაშინ შესძლო მართამ თავისი შვილების გამოხსნა. ისინი უკვე დადიოდნენ, ტიკტიკებდნენ, ქარხნის საყვირს აჯავრებდნენ და დედასაც ეხმარებოდნენ თხა-ცხვრის ტყავების მზეზე გაფენაში.

ქარხნის პატრონმა შენიშნა ერთხელ ეს, უნდოდა დატუქსა, მაგრამ რა ნახა დედას ეხმარებიანო. შეაქო კიდეც:

— ყოჩაღ. ყოჩაღ. ცოტა კიდევ გაიზარდეთ, თქვენც მიგიღებთ საქმეზეო. — და იზრდებოდნენ ბავშვები ქარხნის შმორიან ეზოში.

— ჩვენია?! — იტყოდნენ ბატკნის ტყავზე.

— თქვენი არაა. ქარხნის პატრონისაა, — ეუბნებოდა დედა და უყვებოდა სოფლის ცოცხალ ბეკეკებზე. ცელქებზე და პატარებზე.

— ის სოფლის ბეკეკები ხომ ჩვენია? — ეკითხებოდნენ ბავშვები.

— თქვენი არა. თავადისაა. მიწაც მისია. მთა-ველიც მისია, ტყის ფიჩხებიც. წყლის თევზებიც! — ამბობდა მართა მწარე ღიმილით და ფიქრობდა შვილების ბედზე — ვინ იქნებიან? რა გამოვლენ? ცოტა გაიზარდენით, საქმეს მოგცემთო. — შეპირდა პატრონი. ბევრი უნახავს მუშა ბავშვები მართას: ყვითლები. გამხდრები, ბებრებივით სახე დამჭკნარი. მისი შვილებიც ისეთები გახდებიან!

გახდებოდნენ კიდეც...

* * *

მაგრამ ინათა 1917 წლის დიდმა ოქტომბერმა... და ინათა მართას ბედმაც...

ფიქრობს ახლა მაღალი სახლის აივანზე გადმომდგარი მართა. ეს სახლი, სადაც მართა ცხოვრობს, ქარხნის მუშების სახლია, სანდროს პროექტით აშენებული. დიახ, სანდროც დააბრუნა ოქტომბერმა შინ... აკი ეუბნებოდა: „მე შენ სასახლეს გაჩუქებო". სასახლეა ეს მაღალჭერიანი ბინა, დიდებულად გაშლილი სუფრაც თითქოს მაყრებს მოელისო.

თავადის ქალი მეგის ქორწილი მოაგონა ამ სუფრამ და უცებ მეგის საქორწინო კაბაც მოაგონდა, თეთრი, ღრუბელივით ფარფატა. ამას კი ვერ მოესწრო მართა, ან კი რაღა დროსია? ეცინება თმებდათოვლილ მართას და ზარიც. თითქოს კისკისობსო. ისე აწკრიალდა.

— მოვიდნენ! — გამოერკვა მართა და კარისაკენ გაჰქანდა. ეს მისი ქმარშვილიანი, ცოლშვილიანი შვილებია.

დღესასწაულს ულოცავენ მართას, ეხვევიან, ჰკოცნიან, თაიგულებს სთავაზობენ, თეთრი ყვავილების თაიგულებს, თითქოს დედოფალი იყოს. აი სანდროც, მისი საყვარელი სანდროც. უახლოვდება, ღიმილით ულოცავს და ეუბნება:

— იცი. მართა, ჩვენს ქორწილს ნახევარი საუკუნე რომ უსრულდება, მოდი, ბარემ, ოქროს ქორწილიც დღესვე გადავიხადოთ, — და მუყაოს ყუთიდან საჩუქარს იღებს.

• ეგ რა არის, ლაჟვარდ ზეცის ღრუბლივით თეთრი და ფარფატა?

მართას თვალები უფართოვდება. თვალებში ცრემლები უბრწყინავს. ეს ხომ სიყრმის საოცნებო საქორწინო კაბაა!

— გაგიჟდი?! — წასჩურჩულა მართამ სანდროს. კიდევ უნდა ეთქვა რაღაც, მაგრამ არ დააცალეს.

მართას რთავდნენ საქორწინო თეთრი კაბით... მოდიოდნენ სტუმრები.

გარეთ კი ცის გუმბათში მაშხალები ენთებოდნენ და ფრიალებდნენ ქუჩებში დიად ოქტომბრის დროშები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალსოფლელი ქალიშვილები

ეთერ სახვაძე.

ციცინო თვალებდაჭყეტილი გაჰყურებდა უკუნეთს.

— რატომ არ გძინავს?—ჩურჩულით შეეკითხა დედა, რომელიც სიბნელეში შეუცდომლად არჩევდა შვილების ძილ-ღვიძილს.

— მიხეილ ქადარიას ჯავრი კლავს,—ჩაიცინა კლიმენტიმ, ციცინოს უფროსმა ძმამ, რომელიც მე-7 ბრიგადაში ერთერთ რგოლს ხელმძღვანელობდა.

— არც შენ ხარ მოსვენებული მისგან,—შეუტია ციცინომ.

— მე თუ მოვისურვებ, შეჯიბრება მაინც შემიძლია, რგოლი მყავს და ნაკვეთი მაქვს, შენ რით გინდა იმხელა ყაზახს მიეტოლო.

— რა დროს ქადარიაა ამ შუაღამეზე. დამაძინეთ,—გაჯავრდა ვალია.

— შენ შრომის გმირობა განაღდებული გაქვს, ჩემო დაია, დაიძინებ, რატომ არა,—ტკბილად უთხრა დას ციცინომ.

...ეს იყო შარშანწინ, დეკემბერში, როცა მსხვილი წვიმა ახმაურებდა კრამიტის სახურავს, არხევდა კაკლის ხეებივით გაფოფრილი მაგნოლიების შრიალა რტოებს, ათრთოლებდა ტანმაღალ ევკალიპტებს.

გათენდა თუ არა, ციცინო შამათავა ზინა ყუფუნიასთან გადავიდა. ზინამ ფაცია მოსიასა და გული შონიასაც მოუხმო. ქალიშვილებმა ერთად დაამთავრეს საშუალო სკოლა და მეგობრობა აკავშირებდათ.

— რით არის ჩვენი ბრიგადა მეექვსეზე ნაკლები?—უზიარებდა ციცინო ამხანაგებს წუხანდელ ნაფიქრალს.—თუ ქადარიამ მოახერხა და ახალგაზრდებისაგან რგოლი შეადგინა, ჩვენ რატომ გაგვიჭირდება? მეშვიდე ბრიგადაში განა ცოტა ქალიშვილია!

— შენი ჭირიმე, ციცინო, მეც სწორედ აგრე ვფიქრობდი,—სიხარულით დაუდასტურა ზინამ ამხანაგს, და თავის მხრივ რჩევაც მისცა,—აჯობებდა, ჯერ გრიშა იოსავასთვის გვეთქვა, კომკავშირის კომიტეტის მდივანია და დაგვეხმარებოდა.

ასე შედგა მეშვიდე ბრიგადის პირველი რგოლი, რომელმაც შემდეგ სახელი გაითქვა. რგოლს იმთავითვე იმედიანად დაუწყეს ცქერა: 14 წევრიდან ერთი სოციალისტური შრომის გმირი ერია, 13 კომკავშირელი, 10 საშუალო სკოლადამთავრებული, რგოლის ხელმძღვანელად კი ვერცხლის მედალოსანი ქალიშვილი ჰყავდათ. მაშინ იანვარი ახალი დამდგარი იყო, კოლმეურნეები პლანტაციებს ბარავდნენ და სასუქები შეჰქონდათ. ქალიშვილებმაც დაიწყეს მუშაობა თავიანთ 4 ჰექტარ ნაკვეთზე.

ჩუმად, უხმოდ მუშაობდნენ იმ ზამთარს ციცინო და მისი ამხანაგები. სხლავდნენ, ეკალბარდისა და სარეველისაგან ათავისუფლებდნენ ჩაის ბუჩქებს, ვიდრე არ მოვიდა მაისი, პლანტაციებში არ დაიდგა სასწორი. არ ამუშავდა მწვანე ფოთლის მიმღები პუნქტი.

მაშინ კი, როცა ბრეზენტის შარვალ-ხალათიანი ქალიშვილები მწვანეხავერდიან მწკრივებს შეესივნენ, ყველამ ირწმუნა, რომ მიხეილ ქადარიას სახელგანთქმულ რგოლს, რომელიც ორი წლის განმავლობაში ინარჩუნებდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალ დროშას, ღირსეული მეტოქე გასჩენოდა.

კლიმენტი ახლა ველარ ბედავდა დაეცინა თავისი უმცროსი დაიკოსათვის. ნაშუადღევს იგი ურმით ჩამოივლიდა ხოლმე ციცინოს პლანტაციაში, ჩაის ფოთოლს მიიწონიდა და მიმღებ პუნქტში მიჰქონდა თავისი რგოლის მიერ დაკრეფილ ფოთოლთან ერთად.

— სულ პირველი ხარისხისას კრეფენ ეს გოგოები,—ღიმებოდნენ პუნქტში.

ქალიშვილები არ ხუმრობდნენ. იყო დღეები, როცა ციცინოს რგოლის ანგარიშზე უფრო მეტი ჩაის ფოთოლი ირიცხებოდა, ვიდრე ქადარიას რგოლში.

უფრთხილდი ბიჭო, იმ ნამლევა გოგოს,—ეხუმრებოდნენ მიხეილს აქეთ-იქიდან, დროშა არ წაგართვას, თორემ ველარ გამოჩნდები ზუგდიდში.

ქადარია ამ ხუმრობაზე ხმამაღლა იცინოდა, გულში კი, ცოტა არ იყოს, შეშფოთებული იყო ამ თითისსიგრძე გოგოს გადამკიდე,—სიმაღლე მაინც ჰქონდესო,—ამბობდა.

კორესპონდენტებს რა დაემალებოდათ. ისინი ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებოდნენ ახალსოფელში და ცხადია, პირველად კოლმეურნეობის თავმჯდომარეს წარუდგებოდნენ. შუდული გაბედავა დაფარული თავმომწონეობით ეუბნებოდა;

— რა გაგიხდათ ეს ძუძუთა ბალღები, უფრო უკეთესებიც გვყავანო.

კორესპონდენტები კი ერთნაირად ახირებულნი იყვნენ, მაინცდამაინც «ძუძუთა ბალღებს» აირჩევდნენ და მათს სანახავად პაპანება სიცხეში პლანტაციაში მიდიოდნენ. მაშინ შუდული ფარფლებიან ჭილის ქუდს დაიხურავდა და სტუმარს მეგზურობას უწევდა, თან გზადაგზა ისეთ საუბარს გაუბამდა, რომ მისი სოფლის შესახებ უცხო კაცს კარგი შთაბეჭდილება წაჰყოლოდა. თავმჯდომარე თავს იწონებდა მით, რომ კოლმეურნეობის მარტო ფულადი შემოსავალი 7 მილიონ მანეთს აჭარბებდა, რომ 48 სოციალისტური შრომის გმირი ჰყავდა და ათი ამდენი ამ წოდების მოპოვებისათვის იბრძოდა, ესაა, თავმჯდომარე არა ჰყავთ გმირიო,—ჩაიცინებდა და სტუმრებსაც უთუოდ გააცინებდა, თან, ჩამოსულ მეკალმეებთან რომ საერთო გამოენახა, იმ დროს იხსენებდა, როცა თვითონაც გაზეთის მუშაკი იყო.

დაძაბულ შრომაში გავიდა ზაფხული, დადგა შემოდგომა, დამთავრდა ჩაის კრეფა. თვითეულმა ქალიშვილმა 300-400 შრომადღე ჩაიწერა და მარტო პრემიის სახით ათი ათასი მანეთი მიიღო, მაგრამ... დროშა კი მესამედ შეინარჩუნა მიხეილ ქადარიას რგოლმა. ქალიშვილების რგოლი მას 1,025 კილოგრამით ჩამორჩა. ციცინომ გულით მიულოცა მიხეილს გამარჯვება, მაგრამ ამ გარემოებამ ღრმად ჩააფიქრა.

ის ჯერ მხოლოდ 20 წლის იყო და მერგოლურობის სულ რამდენიმე თვის გამოცდილება ჰქონდა. მაგრამ მაინც მიხვდა ჩამორჩენის მიზეზს—რგოლში ყველას ერთნაირი წარმატება არ ჰქონდა. ციცინოს გაახსენდა, რომ გული შონიასაც და გული კოხრეიძესაც 6.2 ჰექ. ჩაი ჰქონდათ გაპიროვნებული, მაგრამ პირველმა 4500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ჩააბარა, მეორემ კი—2500. რგოლის ხელმძღვანელი ვარაუდობდა. რომ თუ ყველას გული შონიას მაჩვენებლები ექნებოდა, მაშინ ჰექტარზე 22,5 ტონა ჩაის ფოთოლს მიიღებდნენ, რაც დაახლოებით ორჯერ მეტი იქნებოდა მიხეილ ქადარიას რგოლის მიღწევებთან შედარებით და ხუთჯერ მეტი, ვიდრე კოლმეურნეობის გეგმა ვარაუდობდა.

— რა თავპირი ჩამოგტირის, გოგო!—თანაგრძნობით ჰკითხა კლიმენტიმ,—ქადარიას რგოლი 5 წლისაა, შენ კი ახლა მოაგროვე გოგოები და ახლავე გინდა პირველობის წართმევა.—მერე სერიოზულად დაუმატა:—კლუბში წამოდი—მიტინგზე, ჩვენი კოლმეურნეები პარტიის XXI ყრილობას ახალი ვალდებულებებით ხვდებიან.

ციცინო და მისი ამხანაგები მიტინგზე წავიდნენ და პირობა დადეს, მომავალ წელს ჰექტარზე 12 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიიღონ, სწორედ იმდენი, რაც წელს ქადარიას რგოლმა მოკრიფა. ასე განაცხადა ციცინომ გულში კი უფრო ფართო და სანუკვარ ოცნებას ატარებს, რომელსაც ჯერ არავის უმხელს, თავის დროზე კი საქმით უჩვენებს და მაშინ უფრთხილდი ქადარიავ, ნამლევა გოგოს, რომელსაც დიდი ხანი არ არის, რაც შენ თვითონ მიულოცე კომუნისტური შრომის რგოლის საამაყო სახელის მინიჭება.

...ამ ზამთრის დღეებში ციცინოს რგოლის წევრები ჩაის პლანტაციებს მოსდებიან. დეკემბერსა და იანვარში მათ საგანგებოდ დაამუშავეს ნიადაგი და სასუქები შეიტანეს, ახლა კი ბუჩქებს სხლავენ აგროწესების ზუსტი დაცვით.

— ვითომ ქადარიას დაჯაბნა გინდათ?—დროდადრო ცეცხლს წაუკიდებს შუდული გაბედავა. მერე სადმე ქადარიას მონახავს და ახლა მას შეუკეთებს:—შენ ჩაი მოიყვანე, ბიძია, კომუნისტური შრომის რგოლი კი ციცინოს აქვს, გაზეთებშიც ციცინოზე სწერენ!

ქადარია იცინის, გულში კი ფიქრობს:—სიმაღლე მაინც ჰქონდესო იმ გოგოს...

ახლა ახალსოფელში ყველაზე უფრო ის აინტერესებთ, დაისაკუთრებენ თუ არა ქალიშვილები ახლო მომავალში გარდამავალ დროშას? იგი ხომ აქვეა, ორ ნაბიჯზე, მიხეილ ქადარიას რგოლში!

ციცინოს ზოგჯერ ძილი უკრთება ამის გამო.

— რატომ არ გძინავს?—ჩურჩულით ეკითხება დედა.

— ქადარიას ჯავრი არ ასვენებს,—იცინის კლიმენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქეთევან ჩაისუბნელი

საბჭოთა ხელისუფლებას უნდა უმადლოდნენ ჩაისუბნელები, რომ მათ რიგებში ამჟამად ოთხმოცდაათამდე უმაღლესდამთავრებულია. რამდენი სასახელო ადამიანი გაზარდა ამ პატარა სოფელმა: ინჟინერი მემედ ფალავა და კოლმეურნეობის თავმჯდომარე მამია აბაშიძე, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი აიშე გურგენიძე, აჭარკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ბექირ ხალვაში, ქალაქის ერთერთი ცენტრალური საავადმყოფოს მთავარი ექიმი რესან ქიქავა და მრავალი სხვ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოწინავე ჩაის მკრეფავი მარიამ გურგენიძეც ხომ ჩაისუბნელია. რა ვუყოთ, რომ გათხოვების შემდეგ ახალსოფელში ცხოვრობს.

ქეთევანის დედა საიმე პირველი ქალი იყო სოფელში, რომელმაც მტკიცედ გადასწყვიტა ესწავლებინა ქალიშვილისათვის. ვინ იცის, რა ძვირად დაუჯდა მას ეს ნაბიჯი, რამდენი გესლიანი დაცინვა და აბუჩად აგდება განიცადა.

ბათუმის პროფსკოლის ორწლიანი კურსების წარჩინებით დამთავრების შემდეგ ქეთევან ფალავა იმავე სკოლის მასწავლებლად დაბრუნდა, რომელშიც ქალაქში წასვლამდე სწავლობდა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ სოფლის კომკავშირულ ორგანიზაციაში, რომელიც ქეთევანის ენერგიული მუშაობით შეიქმნა, 15 ახალგაზრდა გაერთიანდა.

ძნელია თქმა, თუ რა გაჭირვებას იტანდნენ სოფლის პირველი კომკავშირელები, როცა ისინი კომკავშირული ორგანიზაციის კრებების ჩასატარებლად იკრიბებოდნენ. სახლის კედლებზე ქვებსა და კეტებს ურტყამდნენ ავისმზრახველები და სიკვდილით იმუქრებოდნენ. ქეთევანის მამას ფულიც კი შეაძლიეს, ოღონდ კომკავშირის რიგებიდან გამოეყვანა ქალიშვილი.

პარტიის რაიონული კომიტეტი თვალყურს ადევნებდა ახალგაზრდა აჭარელი ქალის საქმიანობას სოფელში. ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა ქეთევანს ბათუმში გამოუძახეს ხელმძღვანელი მუშაკების ორწლიან კურსებზე. კურსების დამთავრების შემდეგ იგი კრუპსკაიას სახელობის ბათუმის № 2 ქალთა პედსასწავლებელში სწავლობდა.

მერე სამასწავლებლო ინსტიტუტი, პარტიის რიგებში შესვლა, შვიდწლიან სკოლაში მასწავლებლობა, საკუთარი სურვილით მშობლიურ სოფელში, ყოროლისთავის დაწყებით სკოლაში დაბრუნება.

ამავე წლებში ქეთევანი მუშაობდა ტერიტორიული პარტორგანიზაციის მდივნად, არჩეულ იქნა სასოფლო საბჭოს დეპუტატად, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, და აი, უკვე 7 წელია, რაც იგი ჩაისუბნის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეა.

* * *

ბევრი, ძალიან ბევრი საქმე აქვს სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს, ამიტომ ადრე იწყება მისი სამუშაო დღე. მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო საბჭოს ცენტრი დიდი მანძილითაა დაშორებული გარესოფლებს, აქ ყოველ დილით საკითხების გადასაჭრელად თავს იყრიან კოლმეურნეები სოფელ წინსვლიდან ყოროლისთავიდან, კაპრეშუმიდან, აგარიდან., მუშები და მოსამსახურეები სალიბაურის ჩაის ფაბრიკიდან და საბჭოთა მეურნეობიდან...

და განა შეიძლება იმ საკითხების ჩამოთვლა, რის გამოც „აწუხებენ" თანასოფლელები ქეთევან ფალავას?

ახლაც იგონებს იგი 1957 წელს, როცა მშრომელთა დეპუტატების ბათუმის რაიონული საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს კპ ბათუმის რაიკომის გარდამავალი წითელი დროშა ჩამოართვეს მას და ახალშენის სასოფლო საბჭოს მიაკუთვნეს. როგორ იდარდა მაშინ დროშის დაკარგვა.

მაგრამ ტყუილად იდარდა. მალე დაიბრუნა. ხან დარდი აქვს, ხან სიხარული.

იბრძვის და იმარჯვებს სოფლის თავქალი — ქეთევან ფალავა, მადლიერმა თანასოფლელებმა ახლა აჭარას ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რომ დაასახელეს.

გინახავთ მღელვარე ზღვა? სწორედ მას წააგავს ქეთევანის ცხოვრება.

გოგოლა ჯანუყაძე.
დავით გორჩხაძე



სოფელ ჩაისუბნის ხედი. ფოტო ი. თავდუმაძის.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ვსევოლოდ გარშინი

მოთხრობა

მხატვარი ლ. შენგელია.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბაყაყი ყიყინა, იჯდა თავისთვის ჭაობში, იჭერდა კოღოებსა და ქინქლებს, თავის ამხანაგებთან ერთად გაზაფხულზე ხმამაღლა ყიყინებდა და მთელ თავის სიცოცხლეს მშვიდად გაატარებდა—იმ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, თუ მას ყარყატი არ გადასანსლავდა. მაგრამ მოხდა ერთი ამბავი.

ერთხელ ბაყაყი წყლიდან ამოშვერილ კორძიან ხის ტოტზე იჯდა და თბილი თქორით სტკბებოდა.

«ოჰ, რა მშვენიერი ნესტიანი ამინდია!—ფიქრობდა იგი,—რა ნეტარებაა ქვეყნად ცხოვრება!»

წვიმა სცრიდა ბაყაყის ჭრელ, გაპრიალებულ ზურგზე; მისი წვეთები ჩასდიოდა ბაყაყუნას მუცლის ქვეშ და პატარა თათებზე, რაც მას საოცრად სიამოვნებდა, ისე რომ სიამოვნებისაგან კინალამ არ დაიყიყინა, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ გაახსენდა, რომ უკვე შემოდგომა იყო და რომ შემოდგომით ბაყაყები არ ყიყინებენ, ამისათვის გაზაფხული არსებობს, და რომ დაეყიყინა, ამით თავის ბაყაყურ ღირსებას დასცემდა. ამიტომ გაჩუმდა და ნებივრობა განაგრძო.

უცებ, ჰაერში სუსტი, წყვეტილი სტვენის ხმა გაისმა. არსებობს იხვების ასეთი ჯიში: როცა ისინი მიფრინავენ მათი ფრთები თითქოს გალობენ, ანდა უკეთ რომ ვსთქვათ, უსტვენენ. ფიუ-ფიუ-ფიუ-ფიუ—გაისმის ჰაერში, როცა ასეთი იხვების გუნდი თავს ზემოთ გადაგიქროლებს და იმდენად მაღლა მიფრენენ, რომ, თვითონ იხვები არც კი ჩანან. ამჯერად იხვებმა უზარმაზარი ნახევარწრე მოხაზეს და სწორედ იმ ჭაობში დაეშვნენ, სადაც ბაყაყი ცხოვრობდა.

— ვახ, ვახ!—თქვა ერთ-ერთმა მათგანმა,—ჯერ კიდევ შორი მანძილი გვაქვს გადასაფრენი; უნდა ვჭამოთ რამე.

ბაყაყი მაშინვე მიიმალა. თუმცა იცოდა, რომ იხვები ისეთ დიდსა და სქელ ყიყინას არ შეჭამდნენ, მაგრამ მაინც, ყოველ შემთხვევისათვის შეძვრა კორძიანი ხის ქვეშ. ცოტა ფიქრის შემდეგ ბაყაყმა გაბედა თავისი თვალებდაკუსული თავის წყლიდან გამოყოფა: მას ძალიან აინტერესებდა გაეგო საით მიფრინავდნენ იხვები.

— ვახ, ვახ!—თქვა მეორე იხვმა;—უკვე აცივდა! ჩქარა სამხრეთისაკენ, ჩქარა სამხრეთისაკენ!

და იხვები მოწონების ნიშნად ერთხმად აყაყანდნენ.

— ქალბატონო იხვებო,—შეჰბედა ბაყაყმა,—ბოდიშს კი ვიხდი შეწუხებისათვის, მაგრამ რა არის სამხრეთი, სადაც თქვენ მიფრინავთ?

იხვები გარსშემოერტყენ მას. ჯერ მათ ბაყაყის გადასანსვლის სურვილი დაებადათ, მაგრამ თვითეულმა მათგანმა გაიფიქრა: ბაყაყი მეტისმეტად დიდია და ყელში გაგვეჩხირებაო. მაშინ ერთხმად აყიყინდნენ და ფრთების ფართხუნი დაიწყეს.

— სამხრეთში კარგია! ახლა იქ ისე თბილა ისეთი მშვენიერი თბილი ჭაობებია! უჰ, როგორი ჭიებია! არა, სამხრეთში ნამდვილად კარგია!

იხვები ისე ყაყანებდნენ, რომ პირდაპირ გააყრუეს ბაყაყი. მან დიდის გაჭირვებით დაიყოლია იხვები, რომ დაჩუმებულიყვნენ და ერთ მათგანს სთხოვა, რომელიც ყველაზე უფრო მსუქანი და უფრო ჭკვიანი ეჩვენა, აეხსნა, თუ რა არის სამხრეთი. ხოლო, როცა მან უამბო ბაყაყს სამხრეთის შესახებ, ის პირდაპირ აღტაცებაში მოვიდა, მაგრამ ბოლოს მაინც ჰკითხა, რადგან სიფრთხილეს თავი არა სტკივა:

— კოღოები და ქინქლები თუა იქ ბევრი?

— უჰ! მთელი გუნდი!—უპასუხა იხვმა.

— ყვა!—დაიძახა ბაყაყმა და მაშინვე მიიხედ-მოიხედა—აქ სადმე ჩემი ამხანაგები არ იყვნენ, არ გამკიცხონ, რომ შემოდგომაა და ვყიყინებო. ამჯერად ბაყაყმა ვერასგზით ვერ მოითმინა, რომ ერთხელ მაინც არ დაეყიყინა.

— გეთაყვა, მეც წამიყვანეთ!

— ეს მე მაოცებს!—წამოიძახა იხვმა.—როგორ წაგიყვანოთ? შენ ხომ ფრთები არა გაქვს.

— როდის მიფრინავთ?—ჰკითხა ბაყაყმა.

— მალე, მალე!—დაიყვირა ყველამ,—ვახ, ვახ! აქ ცივა! სამხრეთისაკენ! სამხრეთისაკენ!

— მომეცით მოფიქრებისათვის მხოლოდ ხუთი წუთი—უთხრა ბაყაყმა:—ახლავე დავბრუნდები. მე ალბათ რაიმე კარგს მოვიფიქრებ.

და ბაყაყმა, რომელიც ისევ ტოტზე აცოცებულიყო, წყალში ტყაპანი გაადინა, ჩაყვინთა შლამში და მთლიანად ჩაიმალა, რათა გარეშე საგნებს მისი ფიქრებისათვის ხელი არ შეეშალა. ხუთი წუთი გავიდა და ის-ის იყო იხვები გასაფრენად ემზადებოდნენ, რომ უცებ ტოტის მახლობლად, სადაც წეღან ბაყაყი იჯდა, გამოჩნდა იგი ისე გაბრწყინვებული, რამდენადაც შეიძლება, საერთოდ, გაბრწყინდეს ბაყაყი.

— მოვიფიქრე! მივაგენი!—წამოიძახა მან.—დაე, ორმა თქვენგანმა ნისკარტში პატარა წკეპლა დაიჭიროს, მე კი წკეპლის შუაში დავეკიდები, თქვენ გაფრინდებით და მე თან წამიყვანთ. ოღონდ თქვენ არ უნდა იყაყანოთ, მე კი არ ვიყიყინო და ყველაფერი ჩინებულად იქნება.

თუმცა სამი ათასი ვერსი მანძილის უხმოდ ფრენა და გინდაც მსუბუქი ბაყაყის თრევა მაინცდამაინც ვერაფერი სასიამოვნოა, მაინც ბაყაყის გონიერებამ ისეთ აღტაცებაში მოიყვანა იხვები, რომ ისინი ერთსულოვნად დასთანხმდნენ წაყვანაზე. იხვებმა გადაწყვიტეს ყოველ ორ საათში ერთმანეთს შენაცვლებოდნენ და ვინაიდან იხვები ისე ბევრი იყვნენ, როგორც გამოცანაში ამბობენ ხოლმე—ამდენი, კიდევ ამდენი, ამდენის ნახევარი და ამდენის მეოთხედიო, ხოლო ბაყაყი კი ერთი, ამიტომ იხვებს არც თუ ისე დიდი ჯაფა დაადგებოდათ. იხვებმა მოძებნეს კარგი მაგარი წკეპლა, ორმა მათგანმა მას ბოლოებში ნისკარტი ჩაავლო, ბაყაყი პირით შუაგულში დაეკიდა და იხვების მთელი გუნდი ჰაერში აფრთხიალდა. იხვებმა ბაყაყი ისე მაღლა აიყვანეს ჰაერში, რომ მას სული შეეხუთა; გარდა ამისა, იხვები თანაბრად არ მიფრინავდნენ და წკეპლას აქეთ-იქით ეწეოდნენ; საბრალო ყიყინა ჰაერში ქანაობდა ქაღალდისაგან გაკეთებული ჯამბაზივით, და რაც ძალი და ღო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნე ჰქონდა, ყბეზს უჭერდა, რომ წკეპლას არ მოსწყვეტოდა და მიწას არ დანარცხებოდა. მაგრამ თავის მდგომარეობას მალე შეეჩვია და ირგვლივ ცქერაც კი დაიწყო. მის ქვემოთ სწრაფად გაიქროლეს მინდვრებმა, მდელოებმა, მდინარეებმა, მთებმა, რომელთა დათვალიერებაც, სხვათა შორის, ბაყაყისათვის ძალიან ძნელი იყო, რადგან წკეპლაზე დაკიდებულს, მას უკან და ოდნავ ზემოთ შეეძლო ცქერა, თუმცა ცოტ-ცოტას მაინც ხედავდა, რაც მას ახარებდა და ამაყობდა კიდეც.

«აი როგორ ჩინებულად გამოვიგონე,» — ფიქრობდა იგი თავისთვის.

იხვები მიფრინავდნენ იმ წყვილი იხვის უკან, რომელთაც ბაყაყი მიჰყავდათ და ყაყანით აქებდნენ ბაყაყს.

— ეს ჩვენი ბაყაყი საოცრად ჭკვიანი ყოფილა, — ლაპარაკობდნენ ისინი: — მაგისთანა იხვებს შორისაც კი ძნელად მოიპოვება.

ბაყაყმა ძლივს შეიკავა თავი, რომ მათთვის მადლობა არ გადაეხადა, მაგრამ გაახსენდა, რომ



თუ პირს გააღებდა, საშინელი სიმაღლიდან ჩამოვარდებოდა. ამიტომ კიდევ უფრო მოუჭირა ყბები წკეპლას და გადაწყვიტა მოეთმინა. ასე იყო დაკიდებული იგი მთელი დღის განმავლობაში; იხვები, რომელთაც ბაყაყი მიყავდათ, ფრენის დროს ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ოსტატურად ავლებდნენ ნისკარტს წკეპლას ჰაერში; ეს ძალიან საშიში იყო; ბაყაყმა რამდენჯერმე კინაღამ შიშით არ დაიყიყინა, მაგრამ მოთმენა იყო საჭირო და ისიც ითმენდა. საღამოს მთელმა გუნდმა რომელიღაც ჭაობში შეისვენა; როგორც კი ინათა, იხვების გუნდი ბაყაყიანად გზას გაუდგა, მაგრამ ამჯერად მოგზაურს, უკეთესად რომ დაენახა, თუ რა ხდებოდა გზებზე, თავი და ზურგი წინ ჰქონდა, მუცელი კი უკან. იხვები მიფრინავდნენ გადამკილი მინდვრების, გაყვითლებული ტყეების, ხეებისა და პურის ზვინების ზემოთ; ქვემოდან მოისმოდა ხალხის ლაპარაკი და ჯაჭვების რაჩხუნი, რომლითაც ჭვავს ლეწავდნენ. ხალხი შესცქეროდა იხვების გუნდს და როცა ამ გუნდში რაღაც უცნაური შეამჩნიეს, ერთმანეთს ხელით ანიშნებდნენ. ბაყაყს საშინლად მოუნდა დედამიწასთან უფრო ახლოს ეფრინა, რათა იგი უფრო დაენახათ და ამავე დროს გაეგონა, თუ რას ლაპარაკობდნენ მასზე. შემდეგი შესვენების დროს მან იხვებს უთხრა:

— არ შეიძლება, რომ ასე მაღლა არ ვიფრინოთ? სიმაღლისგან თავბრუ მესხმის, თანაც მეშინია, ვაი თუ ცუდად გავხდე და ძირს ჩავვარდე.

კეთილი იხვები შეპირდნენ მას უფრო დაბლა ვიფრენთო. მეორე დღეს ისინი მართლაც ისე დაბლა მიფრინავდნენ, რომ ლაპარაკიც კი ესმოდათ:

— შეხედეთ, შეხედეთ! — ყვიროდნენ ბავშვები ერთ სოფელში: — იხვებს ბაყაყი მიჰყავთ!

ბაყაყმა გაიგონა ეს და გული შეუთამაშდა.

— შეხედეთ, შეხედეთ! — ყვიროდნენ მეორე სოფელში უფროსები: — აი სასწაული!

«ნეტავ თუ იციან, მათ, რომ ეს მე გამოვიგონე და არა იხვებმა?» — გაიფიქრა ყიყინამ.

— შეხედეთ, შეხედეთ! — ყვიროდნენ მესამე სოფელში, — ეს რა სასწაულია! ნეტავ, ვინ გამოიგონა ეს ოინი?

აქ უკვე ბაყაყმა ვეღარ მოითმინა, ყოველგვარი სიფრთხილე დაავიწყდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა:

— ეს მე გამოვიგონე, მე!

და ამ ყვირილით ბაყაყი დედამიწისაკენ თავდაყირა დაქანდა. იხვებმა ხმამაღალი ყიყინი ასტეხეს: ერთ-ერთ მათგანს ბაყაყის ჰაერშივე დაჭერა უნდოდა, მაგრამ ააცდინა. ბაყაყი ოთხივე თათის ფართხალით მთელი სისწრაფით მიექანებოდა მიწისაკენ, მაგრამ ვინაიდან იხვები ძალიან სწრაფად მიფრინავდნენ, ამიტომ ბაყაყი, მისდა საიღბლოდ, პირდაპირ იმ ადგილზე კი არ ჩამოვარდა, რომლის ზემოთაც დაიყვირა და სადაც მაგარი გზა იყო, არამედ გაცილებით უფრო შორს, და დგაფანი გაადინა სოფლის ბოლოს ჭუჭყიან გუბურაში.

ბაყაყმა სწრაფად ამოყვინთა წყლიდან და იმწამსვე ცხელ გულზე ხმამაღლა დაიყვირა:

— ეს მე! ეს მე მოვიფიქრე!

მაგრამ მის ირგვლივ არავინ იყო. მოულოდნელი ტყლაშუნით შეშინებული ადგილობრივი ბაყაყები წყალში ჩაიმალნენ. როცა ისინი ნელნელა გამოჩნდნენ წყლიდან, განცვიფრებულებმა ახალი ბაყაყი დაინახეს.



და მან უამბო მათ მშვენიერი ამბავი იმის შესახებ, თუ მთელი თავისი სიცოცხლე როგორ ფიქრობდა და როგორ გამოიგონა იხვებით მოგზაურობის ახალი, არაჩვეულებრივი საშუალება; თუ როგორ ყავდა მას თავისი საკუთარი იხვები, რომლებსაც დაყავდათ იგი სადაც კი მოისურვებდა; თუ როგორ მოიარა მან მშვენიერი სამხრეთი, სადაც ასე ძალიან კარგია, სადაც ასეთი მშვენიერი თბილი ჭაობებია, უამრავი ქინქლები და სხვა საჭმელი ჭიაღუებია.

— აქ თქვენს სანახავად შემოვიარე, მინდოდა მენახა, თუ როგორ ცხოვრობთ, — თქვა მან. — გაზაფხულამდე თქვენთან დავრჩები, სანამ დაბრუნდებიან ჩემი იხვები, რომლებიც გავუშვი.

მაგრამ იხვები აღარ დაბრუნებულან. იმათ ეგონათ, რომ ყიყინა მიწას დაასკდა და ძალიანაც ებრალებოდათ იგი.

თარგმნა მერი ტყემალაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გული გაუხსნეს

ნათელა გამყრელიძე

შარაგზაზე სამშენებლო მასალით დატვირთულმა მანქანამ ჩაიქროლა და ნელი ნაბიჯით მიმავალ მგზავრებს მტვერი მიაყარა.

— გოგონია, გოგონია, — გაისმა, როცა მანქანის ხმა მიწყდა.

დედა-შვილი შეჩერდა.

— ძლივს არ გაგაგონეთ... თქვენც გამოგასწროთ მატარებელმა? ზოდში ხომ არ მოდიხართ?.. სწორედ კაია ახლა ჩვენში, არც სიცხე შეგაწუხებს, არც მტვერი. დიდხანს დარჩებით?

— სად მცალია, ჩემო ნინა. ბავშვი მინდა ავუყვანო ბებიამისს, მე კი ისევ ჭიათურაში ჩამოვბრუნდები.

— ეს ნანი არაა, შენი ნაბოლარა?.. რამხელა გაზრდილა, მოდი ჩემთან ბიცოლა, — ახლა შავთვალება, ცქრიალა გოგონას მიუბრუნდა, მოკლედ შეჭრილ თმაზე ხელი გადაუსვა. გოგონამ ერთი კი ახედა, მაგრამ რომ ვერ შეიცნო, ყვირილის გალმა განაგრძო ცქერა. იქ, კლდის ძირში. დაუმთავრებელ შენობასთან ადამიანები ფუსფუსებდნენ, დარბოდნენ, ხელებს იქნევდნენ, მათი ხმები მანქანების გაბმულ ხმაურს უერთდებოდა...

ვინ იცის, მას შემდეგ რამდენჯერ ჩაუვლია ამ გზაზე, შეუთვალიერებია კლდის ძირში აღმართული ფაბრიკა-გიგანტი. პეროქსიდების ფაბრიკაშიც ხშირად ყოფილა სკოლიდან.

აქ ყველაფერი ნაცნობი და ახლობელია. გული კი ისევ უცემს. თითქოს სრულიად უცნობ ადგილზე მიდიოდეს.

უკან დარჩა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მხიარული სტუდენტობა, მეგობრებ-ამხანაგები, თბილისი, რომელსაც ასე შეეჩვია.

არ გაუხსნა გული პირველად ფაბრიკამ. თავშეკავებით შეეგებნენ გამოცდილი მუშები. არ სჯეროდათ, ამოდენა საწარმოში ცვლის ხელმძღვანელობას თუ შესძლებდა კოპწია ქალიშვილი, სკოლის მოწაფეს რომ მიაგავდა. ეჭვიანი იყო მათი გამოხედვა. გრძნობდა ახალგაზრდა ინჟინერი ნანი აბდუშელიშვილი, რომ სანამ მიენდობოდნენ, ცდიდნენ, ამოწმებდნენ მის ცოდნას. თვითონაც დაძაბული იყო, ეშინოდა თავი არ შეერცხვინა; განა მარტო თავი, ინსტიტუტი, აღმზრდელები...

დრომ თან წაიღო პირველი დღეების უნდობლობა. გაუგეს ერთმანეთს, შეეჩვივნენ. 1958 წელს 1,3 პროცენტით გაუმჯობესდა «პეროფში» მადნის ხარისხი, 73,5 პროცენტიდან 74,8 პროცენტამდე გაიზარდა მარგანეცის გამოსავლიანობა. ფაბრიკამ პირნათლად გაანაღდა აღებული ვალდებულება, ნოემბრის ბოლოსათვის შეასრულა წლიური გეგმა. ამ ღირსეულ საჩუქარში თავისი დიდი წვლილი შეიტანა მეორე ცვლამაც, რომელსაც ნანი ხელმძღვანელობს. ის ხომ ყოველივე ახლისა და კარგის დამნერგავია ფაბრიკაში. პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრებაც მისი ცვლის ინიციატივით გაჩაღდა.

უწყვეტ ნაკადად მოდის მარგანეცი მაღაროებიდან. სამხვრეველები შლიან «შავ გუნდებს», მომრეცხი მექანიზმები ხარისხის მიხედვით ანაწილებენ, სარეცხი დაზგები რეცხავენ, ათავისუფლებენ შენარევისაგან. მანქანებს შეუცვლიათ ადამიანები. მათზეა დამოკიდებული რამდენად მაღალპროცენტიან პეროქსიდებს მიაწვდის ქვეყანას ფაბრიკა, როგორ შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს. ამიტომ ამოწმებს ასეთი დაკვირვებით თვითეულ მათგანს ცვლის მუშაობის დაწყების წინ ახალგაზრდა ინჟინერი.

უფრო ხშირად მაინც ნინო ნიკოლაძის დაზგებთან ჩერდება. ყოჩაღი გოგონაა ნინო, სამ სარეცხ დაზგას უძღვება, მაგრამ მაინც პირველი წელია ფაბრიკაში და ცვლის უფროსიც მეტ ყურადღებას აქცევს.

ცამეტ სართულზე გუგუნებენ აგრეგატები. ცამეტ სართულზე უსაქმოდ რომ ავიდეს და ჩამოვიდეს ადამიანი, იმითაც კი დაიღლება... ნანი კი ვერ ამჩნევს როგორ გადის წუთები, საათები, მთავრდება სამუშაო დღე... დღეა თუ ღამე ერთი წუთით არ ჩამოჯდება. თავს დატრიალებს მანქანებს, ადამიანებს.

დილის ნიავი შუბლზე ჩამოშლილ თმებს უწეწავს დაღლილ ქალიშვილს. მზის სხივი ძალას მატებს ღამენათევს და ისიც მხნე ნაბიჯებით მიჰყვება სახლისაკენ აღმართს.

რა კარგად ჩანს ამ სიმაღლიდან მთის კალთებზე შეფენილი ჭიათურა... ხელისგულივითაა გადაშლილი... სადგურში კივილით შემოდის თბილისის მატარებელი. გადმოსულ მგზავრებს გამარჯვებას ეუბნება თეატრის თავზე წამომდგარი ქალის ფიგურა.

ქუჩებს კი სულ უფრო ემატება გამოღვიძებული ხალხის ნაკადი, სამუშაოსკენ მიეჩქარებათ.

და ნანის ახსენდება ის დილა, მისი შრომითი ცხოვრების პირველი დილა... ნუთუ მხოლოდ ერთმა წელმა განვლო მას შემდეგ?..

# უკანასკნელი სიყვარული

(მინიატურა)

ახალი გამოსული ვარ საავადმყოფოდან, მაგრამ მაინც ვერა ვარ კარგად. მეტწილად ვწევარ.

ჩემი ლოგინი დგას ფანჯარასთან.

ფანჯრის იქით კი, ქვაფენილს გადაღმა, დიდი ხეა ამოსული. მრავალშტოებიანია და ერთი მისი შტო ისე გათავხედებულა, რომ ლამის ჩემ ფანჯარას მოეხახუნოს...

თვითონ შტო კი ლამაზია, ლორთქო ფოთლებით მწვანედ შემოსილი.

და აი ეს ფოთლები სულ ახლოს მოსულა ჩემ ფანჯარასთან და მინებს ელამუნებიან. ისე კი გამოდის, თითქოს ადამიანისებურად მე, პირადად მე, მიქნევენ ხელს და მეძახიან — ჩვენთან მოდიო! ზოგიერთი ფოთოლი თითქო ადამიანის თვალების მაგივრობას ეწევა და ქუთუთოებს „მიპაჭუნებს“, თან თითქო მთელ პირისახეზე მზაკვრული ღიმი დაჰკრავს და ვითომ ამით ერთობა, მაგრამ ეს მისი თვალების ხამხამი არ არის ბოროტი და მაცდუნებელი.

პირუკუ! მოსიყვარულეა, მოალერსე.

ჯერ კარგა ხანს ასეთი თრთოლვით მიზიდავს თავისკენ ეს შტო, შემდეგ უეცრად მთლიანად უკან დაიხევს, წელში ჩაიკეცება და თითქო „რევერანსს“ მიკეთებს.

არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციო. მაგრამ მე რაკი არაფრით არ ვეხმაურები, თითქო გაჯავრდება და გულმოსული ახლა მთელი შტო დაიწევს და ხან მარცხნივ ეხეთქება თავის დედის კალთას, ხან მარჯვნივ, თან ტანში ისე იშლება. თითქო მეუბნება: აი შემომხედე, რა კარგი ტანადი ვარ, რა სალუქი, მწვანე ქსოვილის კაბა მაცვია!.. ვერ ხედავ, შენი ეშხით რა გაგიჟებული ვარ?!

მიყვარხარ, შალვა, მიყვარხარ!..

გამოვტეხილვარ, მეც გამტეხა ამ შტომ თავის საცვიფრელი მოპყრობით, და...

მეც შემიყვარდა.

— შენ ჩემი უკანასკნელი სიყვარული ხარ?..

შალვა დადიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნატო გაბუნია

ქართული სცენის ისტორიაში ნატო გაბუნია დარჩა, როგორც ჯანსაღი სიცილის უბადლო ოსტატი. განახლებული მუდმივი ქართული თეატრის დასს ნატო მაკო საფაროვასა და ვასო აბაშიძესთან ერთად მოევლინა. ამბობდნენ ნატო ყველაზე ნიჭიერი იყო, მაგრამ სწავლა არ ჰქონდაო, და მართლაც, ნატომ არ იცოდა რა იყო სკოლა. სცენიური ტექნიკა და სხვა მრავალი «კატეგორია». უბრალო სოფლის გოგონამ შემოდგა ფეხი სცენაზე, აქ აიდგა ენა და დაგვანახვა ხელოვნების რა მწვერვალების დაპყრობა შეუძლია დიდი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს... ნატოს სწავლაზე მამას მერაბ გაბუნიას, თურმე, სულ 9 მანეთი დაუხარჯავს. ტყვიავიდან გორში ჩამოუყვანია და კერძო სასწავლებელში მიუბარებია. იქ ნატომ სამ თვეს დაჰყო, შემდეგ ისევ ტყვიავს დაუბრუნდა და ლექსების წერით ირთობდა თავს.

სოფელი ტყვიავი ქართველ ხალხოსანთა არალეგალური წრის ერთ-ერთი ცენტრი იყო. აქვე იყო მოწყობილი მღვდელ სამადაშვილის მიერ არალეგალური სტამბაც. ცნობილ ხალხოსან შიო დავითაშვილის «მოგონებებში» აღნიშნულია—მერაბ გაბუნიას ქალები—კესო და ნატო არალეგალური წრის აქტიური წევრები იყვნენო.

მეტისმეტად ცოცხალი, კვიმატი სიტყვის პატრონი, და რაც მთავარია, იშვიათი სმენით და ხმით დაჯილდოვებული ნატო ყურადღების ცენტრშია. ამ დროს ქართლში განთქმული «ციციანთ მრავალჟამიერის», «ჩონგუროს», «ყურშაოს» და სხვ. სიმღერების პირველი დამწყები და ლაზათის მიმცემი პატარა, შავტუხა გოგონა ნატო იყო. ჩვენი მგოსნების ლექსთა დამღერებაში ხომ ნატოს ბადალი არ ჰყავდა.

1875 წლის 22 აგვისტოს გორში სცენისმოყვარულებმა წარმოადგინეს «უჩინ-მაჩინის ქუდი» და «ძალად ექიმი», როგორც გაზეთ «დროებას» 27 აგვისტოს ნომერშია აღნიშნული, ნატო გაბუნიას აღტაცებაში მოუყვანია ხალხი. ხმა დაირხა გორის მაზრაში, მერაბ გაბუნიას ქალის საოცარი ნიჭის შესახებ. მის სანახავად მახლობელი სოფლებიდან მოდიოდნენ.

გიორგი ერისთავის შვილი დრამატურგი დავით ერისთავი გორში ნატო გაბუნიას სანახავად ჩავიდა და თბილისის სცენაზე მიიწვია იგი.

მრავალი სახე განასახიერა და უკვდავყო ნატომ.

ხანუმა, მელანია («მელანიას ოინები»), კუკუშკინა («შემოსავლიანი ადგილი»), ხამფერა («ხათაბალა»), ფროშარი («ორი ობოლი») და მრავალი სხვ. ნატოს მეუღლის, ცნობილი დრამატურგის აქვსენტი ცაგარელის «ხანუმა» მთელი ეპოქა იყო რევოლუციამდელი ქართველი კომედიის ისტორიაში. გაბედული და თანაც მატყუარა მაჭანკალი ხანუმა ვისაც სურდა შეაუღლებდა, ვისაც უნდოდა გაჰყრიდა. ხანუმა წვრილმანი ინტრიგანი როდია, ეს გაიძვერა მელა ქორწინების ნამდვილი ჯადოქარი იყო. აი ასეთ პერსონაჟს წარმოგვისახავდა ნატო და მერე როგორ? ჯერ ნატოს გამოხედვა რად ღირდა! ეს მუდამ დადარაჯებული ცბიერი და თან ჭკვიანი თვალები, რომელთაც ვერაფერს დაუმალავ, ვერაფერს გამოაპარებ. ხანუმას სიცილი! ნეტა რამდენი დაკვირვება, რამდენი შრომა დასჭირდა ნატოს, რომ ეს სიცილი შეექმნა? მსახიობმა ალღოთი, ინტუიციით შეიგრძნო, როგორი უნდა ყოფილიყო ხანუმას სიცილი და თავისი მხატვრული გემოვნებისა და ზომიერების გრძნობის მეოხებით აღმოხდა ეს ბუნებრივი, ხანუმასებური სიცილი. ხაზს ვუსვამთ ზომიერებას, რამდენადაც კომიკური როლების შესრულებას უფრო მეტად სჭირდება ზომიერება, რომ მსახიობს მოლიპულ გზაზე ფეხი არ წაუსხლტეს ან კარიკატურაში არ გადავარდეს. ნატო კი ამ ბეწვის ხიდზე ისე თამამად დადიოდა, რომ განცვიფრებაში მოჰყავდა მაყურებელი. ან ხანუმას ცეკვა! ეს ხომ განუმეორებელი, რაღაც თავისებური, მხოლოდ ხანუმასათვის განკუთვნილი ცეკვა იყო, რაც მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზის მქუხარე ოვაციებს იწვევდა. ნატო გაბუნიას მადამ ფროშარი ფრანგულ მელოდრამა «ორ ობოლში», ხელოვნების მწვერვალი იყო. რეჟისორების მიხეილ ქორელის, კონსტანტინე ანდრონიკაშვილის და სახალხო არტისტის ტასო აბაშიძის გადმოცემით, რომლებიც კარგად იცნობდნენ პარიზის თეატრებს, ვერც ერთი მსახიობის ფროშარი თავისი მხატვრული სისრულით ნატოს ფროშარს ვერ უტოლდებოდა.

დიდი მსახიობი ნატო ასევე საუცხოო მომღერალი იყო. იშვიათი მუსიკალური სმენა, გრძნობათა სიჭარბე, ბგერათა მრავალფეროვნება, ხმის თავისებურად, ნატოსებურად ნაზად და ალერსიანად ამღერება — ხიბლავდა ყველას.

ეს უსწავლელი გენიალური დილეტანტი ქართული ენის ისეთი მცოდნე იყო, რომ როდესაც «ვეფხისტყაოსნის» ტექსტის დამდგენი კომისია ჩამოყალიბდა, ერთადერთი ქალი, რომელიც მიწვეულ იქნა ამ კომისიაში, ნატო გახლდათ.

ვინ არ ყოფილა ნატოს ნიჭით აღტაცებული. საკმარისია გავიხსენოთ ცნობილი ტრაგიკოსი ერნესტო როსი, დიდი რუსი დრამატურგი ალექსანდრე ოსტროვსკი, სომეხი კლასიკოსი გაბრიელ სუნდუკიანი, ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე სუმბათაშვილი. სხვათაშორის ცნობილია, რომ ხშირად ნატომ სთხოვა სუმბათაშვილს ერთი პიესა საქართველოს ცხოვრებიდანაც დაწერეო. სუმბათაშვილმაც შეასრულა ნატოს დავალება და შეიქმნა «ღალატი».

ლადო მესხიშვილს არა ერთხელ უთქვამს ნატო და მაკო ნიჭით ვასოსაც სჯობდნენ და მეცაო.

1910 წლის აგვისტოს პირველი რიცხვებია. ნატო ქარელშია და ადგილობრივ სცენისმოყვარეებთან კალოზე მოწყობილ სცენაზე თამა-



ფროშარი—ნატო გაბუნია.



ხანუმა—ნატო გაბუნია.

შობს «ხანუმაში». ეს სცენის ჯადოქარი, სიცოცხლისა და სიხარულის მახარობელი რაღაც მოდუნებულია, მაგრამ სუფრას უნატოდ აბა, რა შნო ექნება და ვახშამს რა ლაზათი, თუ ნატოს ხმის რაკრაკი არ დაატკბობს ყველას. აი, გაისმა ნატოს სევდიანი, წინასწარმეტყველური ხმა:

«ჩემო თავო! ველარ გკურნავ წამალით!
დალმართ-დალმართ დაუყევი, წა მალით!
იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით,
დაივიწყე ვინც გახსოვდა მარად, ის!
ხელდაკრეფით განისვენე მარადის!

ეს იყო გედის სიმღერა, ეს იყო ნატოს უკანასკნელი მოლხენა.

8 აგვისტოს ნატო თბილისში ჩამოდის...

16 აგვისტოს ნატო გარდაიცვალა. ელვისსისწრაფით მოედო თბილისს ნატოს გარდაცვალების ამბავი. მის პაწია ბინას ზღვა ხალხი მოაწყდა.

დაობლდა მაშინდელი ქართული თეატრი, მის მშვენიერ კედელს ერთი ბურჯთაგანი გამოეცალა.

თავის ავტობიოგრაფიას ნატო შოთას უკვდავი სიტყვებით ამთავრებდა: «იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა». წავიდა ნატო და ტურფასა საბაღნაროსა სხვა ნატოები გაუჩნდნენ...

აღორძინებული, განახლებული, სახელმოხვეჭილი ქართული საბჭოთა თეატრი ყოველთვის მადლიერებით მოიგონებს ეროვნული თეატრის უანგარო მოამაგეს, რეალისტური სკოლის დიდ მსახიობს, ძველი ქართული თეატრის მშვენებას, ნატო გაბუნიას.

ალ. ბურთიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვეფხის ტყაოსანი:·
აწ ახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა ჟამსა ამა
დიდებულისა საქართველოს მპყრობელისა
უფლისა უფლისა ვახტანგისსა:·
შრომითა და წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა:·

დაიბეჭდა ხელითა ხელოსნის კარის დეკანოზის შვი
ლის მიხელისათა: ქალაქსა ტფილისისასა
ქრისტეს აქეთ
ათას შვიდას და თორმეტსა დასაბამითგან ვიდრე
აქამომდე შვიდიათას ორას ოცსა:·

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ვახტანგისეული გამოცემის თავფურცელი.

# ქართული წიგნი

შორს, ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან, ქ. რომში 1629 წელს კათოლიკე მისიონერთა მიერ დაარსებულ ქართულ სტამბაში დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი. ეს გახლდათ «ქართულ-იტალიური ლექსიკონი» და «ქართული ანბანი ლოცვებითურთ».

1643 და შემდეგ კვლავ 1670 წელს აქვე იბეჭდება ფრანცისკო-მარია მაჯიოს მიერ შედგენილი «ქართული ენის გრამატიკა».

აღსანიშნავია, რომ «ქართულ-იტალიური ლექსიკონის» შედგენაში სტეფანე პაოლინთან ერთად მონაწილეობა მიუღია ქართველ ბერს, ნიკიფორე ირბაქს (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი), იმ დროისათვის განათლებულ, მომზადებულ და ენების მცოდნე ქართველს, რომელიც კახთა მეფის თეიმურაზის მიერ რომში ყოფილა ელჩად გაგზავნილი.

მართალია, ქართული წიგნი თავის ბეჭდვის ისტორიას 1629 წლიდან იწყებს, მაგრამ ძირითადად ქართულ წიგნს და ქართულ ნაბეჭდ ლიტერატურას საფუძველი ჩაუყარა ვახტანგ მეექვსემ, მან დააარსა პირველი ქართული სტამბა ქ. თბილისში 1709 წ. რასაც უშუალო კავშირი აქვს ვახტანგის პოლიგრაფიულ მოღვაწეობასთან, რომელიც იწყება მე-17 საუკუნის ბოლოს და მთავრდება 1705 წელს მოსკოვში ქართული «დავითნის» დაბეჭდვით. ვახტანგის სასტამბო მოღვაწეობა ქართული ბეჭდვითი საქმის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენაა.

საქართველოში პირველი სტამბის ორგანიზაციის ინიციატორთა და მონაწილეთა შესახებ არსებულ ცნობათაგან ყურადღებას იპყრობს და ამ საკითხს ნათელს ჰფენს პოეტ გ. ლეონიძის მიერ რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში დაცული ვახტანგისეული სტამბის პირველნაბეჭდი სახარების ფურცელზე შემჩნეული და ამოკითხული ლექსი, რომელიც სტამბის მოღვაწეებს დაუბეჭდავთ რუმინეთში გასაგზავნ ცალებზე (ლექსი გამოქვეყნებულია, იხ. ჟურნ. «დროშა», 1951 წელი, № 2, გვ. 18).

ლექსის შინაარსი გვამცნობს, რომ სტამბის მოწყობის სურვილით გატაცებულმა ვახტანგმა წერილი გაუგზავნა იერუსალიმის პატრიარქს და სტამბის ხელოვანი სთხოვა. პატრიარქს თავის მხრივ მაშინვე გაუგზავნია კაცი ვლახეთს და ვლახთა მეფისთვის უცნობებია: «ვახტანგს უხმია მესტამბე, მეფეჲ ქართლის მპყრობელი,—მიზოძე ერთი ოსტატი, ჭკვიანი, მისანდობელი», ვლახეთის გამგებელს, პატრიარქის თხოვნის თანახმად, შეურჩევია გონიერი და ჭკვიანი ოსტატი. სახელად მიხეილ, და გაუგზავნია პატრიარქისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს ოსტატი დაუყოვნებლივ საქართველოში გამოუსტუმრებია.

საქართველოში პირველი ქართული სტამბის მოწყობის ერთერთ მთავარ მესვეურად, ვახტანგთან ერთად, ითვლება ანთიმოზ ქართველი—ანთიმ ივერიელი (1650-1717), რუმინეთის დიდი კულტურული მოღვაწე. ანთიმოს ქართველის ერთერთი დიდი დამსახურება ის არის, რომ მან რუმინეთი—მისი მეორე სამშობლო—სტამბებით დაფარა, სადაც იბეჭდებოდა; ბერძნული, რუმინული, არაბული და სლავური წიგნები. პატარა უნგროვლახეთი მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანო ქვეყნების წიგნებით მომმარაგებელ ცენტრად იქცა.

ანთიმ ივერიელი ყოველ თავის გამოცემაში თავის თავს «ძირით ქართველად» იხსენიებს.

იმის შესახებ თუ როგორ აფასებდნენ ანთიმოს ქართველს რუმინეთში, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ე. პიკოს მიერ 1886 წ. ფრანგულად დაბეჭდილი გამოკვლევა: «ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ცნობა ვლახეთის მიტროპოლიტ, მესტამბე ანთიმოს ქართველის შესახებ», რომელშიც წერია: «ყველა მღვდელმთავარს შორის, რომელთაც ვლახეთის სამიტროპოლიტო საყდარი სჭერიათ, არავინ არის ისეთი, რომელსაც შთამომავლობის თვალში იმოდენა ღვაწლი მიუძღოდეს, როგორც ანთიმოზ ბერს... მან, უცხოელმა, საქართველოს წიაღიდან მოსულმა, გვიჩვენა იშვიათი მაგალითი რუმინული პატრიოტიზმისა».

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლოცვანი. თბილისი. 1710
ნუსხურ-მხედრული შრიფტი
Молитвенник. Тбилиси. 1710
Церковный и гражданский шрифты



დავითნი. თბილისი. 1709,
კანონი 12.

ეჭვი არ არის, რომ როდესაც ვახტანგმა იერუსალიმის პატრიარქს «ერთი სტამბის ხელოვანი» სთხოვა, ამ საქმეში ანთიმოსს თავისი წვლილი შეუტანია და მისი რეკომენდაციით საქართველოში გამოგზავნილ იქნა მისივე პირველი მოწაფეთაგანი მიხეილ მესტამბე (მიხეილ სტეფანიშვილი-უნგროვლახელი).

მრავალი ცნობა, და მათ შორის თვით ვახტანგის სტამბის პირველ წიგნთა ანდერძები, ადასტურებენ ამას: «მე გამგებელმან ქართლისამან, ბატონიშვილმან ვახტანგ, მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა».

ვახტანგს მისი სტამბისათვის საჭირო ქაღალდი ევროპიდან მოუტანია, ხოლო შენობა სტამბისათვის საგანგებოდ აუგია მისი სასახლის მახლობლად.

რამდენად დიდია პირველი დაბეჭდილი წიგნების მნიშვნელობა და რა წარმატებებს მიაღწია მიხეილ უნგროვლახელმა საქართველოში ამას მოწმობს «სახარების», «დავითნისა» და «სამოციქულოს» 1707 წლის ჩინებული გამოცემები, ხოლო 1710 წელს მის მიერ დაბეჭდილი «კონდაკი» ანუ ლიტურგიის შესრულების წესი, ითვლება მბეჭდავის ოსტატობის შედევრად. ეს გამოცემა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ წიგნის ბოლოს დაბეჭდილია ექვსსტრიქონიანი რუმინული ლექსი ქართული ასოებით. ცოტა ზემოთ იმავე გვერდზე ამ ლექსის შინაარსია ქართულად გადმოცემული ეს ქართული სიტყვები, უკვე გალექსილი და შაირის, სახით გვხვდება 1711 წელს დაბეჭდილი «დავითნის» ბოლოს.

1710 წელს იბეჭდება აგრეთვე მხედრული «ჟამნი», წვრილი ნუსხური შრიფტით, კარგად გაფორმებული მცირე ფორმატის «ლოცვანი» და «ჟამნი». 1711 წელს იბეჭდება მხედრული შრიფტით, «დავითნი» და გერმანეს «სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა».

«სახარების», «დავითნისა» და «სამოციქულოს» 1709 წლის სამივე გამოცემა დაბეჭდილი იყო ნუსხა-ხუცური შრიფტით. შემდგომ კი ვახტანგმა დაამზადებინა მხედრული სასტამბო შრიფტიც, რომლითაც იბეჭდებოდა არა თუ საერო ხასიათის წიგნები, არამედ საქრისტიანო ლიტერატურის ნაწილიც, რაც იმ ვითარებაში უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა.

პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნები გამოირჩევიან მაღალი მხატვრულ-ტექნიკური დონითაც (ფორმატის სხვადასხვაგვარობა, ქაღალდი, გარეგანი მორთულობა, ორნამენტები და სხვ).

გარდა საეკლესიო-საქრისტიანო შინაარსის გამოცემებისა, 1712 წ. პირველად იბეჭდება ქართული კულტურის უდიდესი ძეგლი—შოთა რუსთაველის «ვეფხისტყაოსანი».

დიდ ყურადღებას იპყრობს ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილ წიგნთა შორის 1721 წელს გამოცემული სამეცნიერო წიგნი—«ქმნულების ცოდნა» (ვარსკვლავთ-მრიცხველობა), რომელიც თვით ვახტანგს უთარგმნია სპარსულიდან.

ვახტანგის დიდ პირად დამსახურებას სტამბის მოწყობის საქმეში ცხადჰყოფს ამ გამოცემაში მოთავსებული ვახტანგის პორტრეტი, რომლის ჩარჩოს შიგნით დაბეჭდილია შემდეგი წარწერა: «...გამგებელი ქართლისა ბატონიშვილი ვახტანგ, მიმღები ბეჭდისა ამის».

ამჟამად საქართველოსა და საერთოდ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა წიგნთსაცავში დაცულია ვახტანგისეული 20 გამოცემა. სავარაუდებელია, რომ ვახტანგის სტამბის გამოცემებს ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია.

წიგნის ბეჭდვის შემოღება ფეოდალურ საქართველოში XVIII საუკუნის დასაწყისს, იმ დროს, როდესაც მთელ იმიერ და ამიერკავკასიაში სტამბა არსად არ ყოფილა, საქართველოს კულტურის მეტად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

**ციალა ჩიქვაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქალის უფლების

# მხატვრული დოკუმენტი

«ერთ დილას. როცა ზამთრის სუსხიანი დღე ყველაფერს ყინავდა «ივერიის» რედაქციაში შემოვიდა ერთი გამხმარი, ცხვირგათხელებული, თვალებჩავარდნილი, საზაფხულო დაგლეჯილ პალტოში გახვეული კაცი და მორიდებით რაღაცაზე ლაპარაკი დაიწყო...»![1])

ეს იყო ეგნატე ნინოშვილი, რომელმაც ქრისტინეს კორექტურა ითხოვა გადასახედად. «ქრისტინე» ნინოშვილის ერთერთი პრინციპული მოთხრობათაგანია, მასში ყველაზე მწვავედ დასვა ნინოშვილმა ის საკითხი, რომელიც წლების მანძილზე აწვალებდა მის შემოქმედებით მრწამსს, და მრავალ მოთხრობაში ამა თუ იმ კუთხით გააშუქა კიდეც, ეს არის საკითხი გლეხი ქალის უფლებრივი მდგომარეობისა.

«ქრისტინე» დრამაა XIX საუკუნის დამლევის ქართველი გლეხი ქალისა, პატარა, მაგრამ მწარე ისტორიაა ქალისა, რომელიც სოფლის სათაყვანო ჯოგონადან ორთაჭალის მეძავ ქალად იქცა.

ე. ნინოშვილმა ამ მოთხრობაში თავი მოუყარა ყველა იმ გარეშე თუ შინაგან გამანადგურებელ ძალებს, რომელნიც წინ გადაუდგნენ ქრისტინეს სილამაზეს, პატიოსნებას, დედობასა და ადამიანობას საერთოდ.

ქრისტინეს კატასტროფა დაიწყო მისი საბედისწერო სიყვარულით აზნაურ იასონ უქმაძისადმი, იასონის ლაგამაწყვეტილი ვნება გაბატონებული კლასის უკონტროლო თვითნებობის შედეგია. მართალია, უქმაძეების კლასი ეკონომიურად უკვე დაეცა, მაგრამ ამ კრიზისის დღეებში იგი უფრო, ვიდრე ოდესმე, ცდილობს გამოიყენოს თავისი ჯერ კიდევ შეუზღუდავი იურიდიული პრივილეგიები. ქრისტინე მისი ერთი მსხვერპლთაგანია მხოლოდ. ქრისტინეს ცხოვრების დრამის ასეთი დასაწყისი ტიპიურია რევოლუციამდელი ეპოქის მრავალი ქალისათვის.

ასეა თუ ისე იასონი მაინც მხოლოდ პირველი მიზეზია ქრისტინეს დაცემისა. ამის შემდეგ ჩნდება მეორე მიზეზი—შავბნელი გლეხური ყოფის მკაცრი და ხშირად ადამიანის გამთელავი ტრადიცია. სიყვარულში მოტყუებული, იასონისაგან მასხრად აგდებული «ბუშის» დედის ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცა. ყველა ვისაც ხელი მიუწვდებოდა, დასცინოდა, ტუქსავდა, ლაფში სვრიდა ქრისტინეს სახელს. სოფელში ქალს არ გაესვლებოდა, მაგრამ უფრო უარესი იყო შინ:» «გაბახებით» შეძრწუნებული მშობლები საყვედურებითა და მკაცრი მოპყრობით სულს უმწარებდნენ ოდესღაც საამაყო ქალიშვილს.

და ქრისტინემაც თავს «უშველა»...

არაა საჭირო იყო დედა, რომ იგრძნო პირმშოსთან ქრისტინეს განშორების წუთის მთელი საშინელება. ამ მომენტის მძაფრი დრამატიზმი მთლიანად ამართლებს ქალს შვილისა და მშობლების წინაშე.

ე. ნინოშვილი ფარდას ხდის ბურჟუაზიული ქალაქის ავხორცობას, ქალაქში მოხვედრილი, ახლობელსა და ყოველგვარ მატერიალურ სარსარს მოკლებული ქრისტინე ჯადოსნურ რკალში ემწყვდევა. იქ, იმ საზოგადოებაში, სადაც ყოველგვარი ადამიანური ურთიერთობა ყიდვა-გაყიდვის მახინჯ კანონზეა აგებული, იმარჯვებს ის ვისაც უნარი აქვს ამ თაღლითურ კომერციაში მოხერხებულად დააბანდოს თავისი საქონელი. აქ გადაწყდა ქრისტინეს ბედიც. «ურიის ლამაზი რახილის» სახელის ქვეშ დაიფარა ახალგაზრდა გოგოს წარსული და დაიწყო ახალი ცხოვრება. ყველაფერია ამ ცხოვრებაში: ზიზღი საკუთარი თავისადმი და პატარა გოგიას ბედზე მოთქმაც, უსასოო არსების ინერტიულობაც და მშობლიური კერის მოგონებაც, მორჩილებაც მძიმე ხვედრისადმი და მწარე სურვილი ერთხელ კიდევ სიზმრად მაინც იხილოს სოფელი, დედა, მამა და ულვთოდ მიტოვებული შვილი...

თითქოს საკმარისად მძიმე იყო ქრისტინეს ტანჯვა, მაგრამ მწერალი უკანასკნელი შტრიხით ავსებს სურათს: თავისი «თაყვანისმცემლებისაგან» დასახიჩრებული ქრისტინე კარგავს არსებობის უკანასკნელ საშუალებას, მათხოვრობას იწყებს, მათხოვრობს და გოგიას ნახვაზე ოცნებობს. შემდეგ საავადმყოფოში წევს და ყველას ეხვეწება, ნიგვზიანში გამაგზავნეთო და ბოლოს საუკუნო ბინაში მიდის ყველასაგან მივიწყებული, დაუტირები.

მოთხრობა «ქრისტინე» მძაფრი პროტესტი იყო იმ სოციალური წყობისა და მორალური ნორმების მიმართ, რომელმაც ქალს ორმაგი ჩაგვრის უღელი დაადგა.

თუ «ქრისტინეს» უბედურებაში ერთნაირ როლს თამაშობს როგორც სოციალური წინააღმდეგობა, ისე ტრადიციის ულმობელობა, სხვა მოთხრობებში ნინოშვილი ცალ-ცალკე წარმოადგენს ამ მომენტებს—ცალკე აღებულიც საკმარისი ხდება ქალის განადგურებისათვის. „ჩვენი ქვეყნის რაინდში", „სიმონაში", „პარტახში". და „უცნაურ სენში" მთელი თავისი სიმძაფრითაა წარმოსახული ქალის უსიხარულო ხვედრი.

«უცნაური სენის» გმირი—ტასო ცამეტი წლის ბავშვია. მას გათხოვებისა და ოჯახის მოვლის არაფერი გაეგება და წინააღმდეგია არა ამა თუ იმ საქმროსი, არამედ მამისეული კერიდან სხვაგან წასვლისა საერთოდ. ეშინია იმ უცხო კაცისა, რომელიც მის წასაყვანად მოსულა და როგორც ბავშვი, მწარედ ტირის. მის ცრემლებს არავითარი გავლენა არა აქვს არც საქმროსა და არც მამაზე. მამამ „გაყიდული საქონელივით" უნაგირზე შემოუსვა ატირებული შვილი, ხოლო სიძემ გულგრილად წაიყვანა იგი შინ.

ამ საშინელ სურათს ნინოშვილი ერთი მნიშვნელოვანი შტრიხით ავსებს: როდესაც ნახევარ საუკუნეს გადაცილებული გაბრიელი თავის ცამეტი წლის საცოლეს დაინახავს, გულში გაიფიქრებს, რომ გარკვეული შეუსაბამობაა ასაკობრივი თვალსაზრისით, მაგრამ ამ ჰუმანურ ფიქრს ტრადიციული უფლება ახშობს: რა ვუყოთ მერე? „შენ ქმარი იქნები, ის—ცოლი. შენ—ბატონი, ის—ყმა..."

მართლაც ბატონ-ყმობას გავს ის ფაქტი, როდესაც ქალის მუდმივი მბრძანებელია მამაკაცი: ჯერ მამა და შემდეგ ქმარი, აკი ტასოს დედაც თანაუგრძნობდა თავის გოგონას და არ უნდოდა მოხუცი გაბრიელისთვის მიეცა. მაგრამ რა გააწყო? ქმარმა აიძულა ხმა ჩაეკმიდა. და შვილის ბედი მამის სურვილისამებრ გადაეწყვიტა.

მხოლოდ ბედისადმი მორჩილება, მხოლოდ დედის რძესთან შეწოვილი ღრმა რწმენა ქმრის განუსაზღვრელი უფლებისა, აიძულებდა ტასოს უდრტვინველად ეწია მძიმე უღელი. პირველ ხანებში გაბრიელის მიმართ შიშნარევი ზიზღის გრძნობა ისე ძლიერი იყო ტასოში, რომ იგი ყველა მამაკაცზე ვრცელდებოდა. მაგრამ ტასოს შინაგანი აღშფოთება თანდათან დაცხრა, 17—18 წლის ჯანღონით სავსე სხეულში სიცოცხლისა და სიყვარულის წყურვილმა გაიღვიძა... გავიდა ხანი და ტასო დაუახლოვდა ქალაქიდან სტუმრად ჩამოსულ კოტე მამალაძეს,.. „უცნაური სენით" მოსწამლა მთელი ოჯახი,..

ნაწარმოების უკანასკნელი ფაქტების განვითარებიდან ტასო უმკაცრესი გაკიცხვის ღირსია. იგი ქმრისა და შვილების მოღალატეა, მათი მკვლელი. მაგრამ განა იმიტომ დაი-

---

[1]). ვლ. მგელაძის მოგონებიდან («ჩვენი აზრი», 1909, № 22).

ეროვნული ბიბლიოთეკა



წერა მოთხრობა, რომ მწერალს ტასოს გაკიცხვა სურდა? პირიქით. ნინოშვილს ტასოს დანაშაული მიაჩნია იმ დანაშაულის ლოღიკურ განვითარებად, რომლის პირობებში ქალი მონაა მამაკაცისა. დაბეჩავებული, დაშინებული, მონადქცეული ადამიანი უკვე ამ მდგომარეობის გამო ქურდია და თაღლითი. აამაღლეთ იგი ადამიანობამდის, მიეცით თავისუფლება და მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი მისი საქციელის განსჯა.

აი, ამ ამაღლებას, განთავისუფლებას ქადაგებს ნინოშვილი თავის მოთხრობებში, თვით ღატაკი გლეხის ღბოლს, სიღატაკესა და მძიმე შრომაში გაზრდილს, ღრმად სწამს, რომ ჩაგრულთა შორის ყველაზე ჩაგრული მაინც ქალია. ამიტომაა, რომ ყოველ თავის მოთხრობაში, სადაც შეუფერავი სიცხადით ასახულია გლეხის მძიმე ყოფა, ე. ნინოშვილი გლეხი ქალის მდგომარეობისაკენ ყოველთვის გვახედებს.

XIX საუკუნის დასასრული რუსეთსა და ჩვენში რევოლუციის პირველი ნაბიჯების ხანაა, მარქსისტული იდეების გავრცელების პერიოდი. სულ უფრო და უფრო ხშირად სხვა სოციალურ პოლტიკური პრობლემების გვერდით, ჩნდება ქალის უფლების აღიარების საკითხი, მისი ორმაგი ჩაგვრისაგან განთავისუფლების, მისი უფლების მამაკაცის უფლებამდის ამაღლების საკითხი,

ამ პერიოდის თითქმის ყველა პროგრესული მოაზროვნე თავის პატიოსან მოვალეობად თვლიდა გამოხმაურებოდა ამ პრობლემას.

ე. ნინოშვილმა თავისი მხატვრული გამონაგონი ცხოვრების სასტიკ სიმართლეზე ააგო და გასაოცარი სიზუსტით შექმნა ქალის უუფლებობის სურათები, ეს სურათები იქცა არსებული მდგომარეობის სასტიკ მხილებად და ამ მდგომარეობის წინააღმდეგ საბრძოლო მოწოდებად.

**ვიოლეტა ცისკარიძე,**

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს მხედართა ერთ-ერთი ჯგუფი ქ. გრინფილდში, აშშ.

# უცხოეთის ასპარეზზე

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ევროპისა და ამერიკის ცირკ-იპოდრომები კრიზისს განიცდიდნენ, რაც ერთფეროვანმა პახტოშამებმა და ცხენოსნურმა ასპარეზობებმა განაპირობეს. ქამანდით შეიარაღებული ამერიკელი კოვბოების, ბანჩოებისა და მუსტანგერების გამოსვლები მაყურებელს მობეზრდა. აღარც როდეო, გაველურებული დეკეულების ქამანდით დაჭერა, დოღი კამეჩებით და გაუხედნავი ცხენების ჯირითი მოსწონდათ. საჭირო გახდა ცხენოსნურ სანახაობათა გადახალისება.

ამ მომენტში ასპარეზზე გამოვიდა გაქნილი ამერიკელი საქმოსანი, გაიძვერა იმპრესარიო და სამარენიანი ცირკ-იპოდრომის შემქმნელი ფინეას ტეილორ ბარნუმი, ხოლო შემდეგ ამერიკელი ინდიელების დაუძინებელი მტერი, სახელგანთქმული კოვბოი კოუდი ვილიამ ფრედერიკი, ბუფალობილად ცნობილი, ცხენოსანთა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი. მათ და შემდგომში ძმებმა რინგლიგებმა ფუნდამენტალურად გადაახალისეს ძველი სანახაობანი.

ცხენოსნური სპორტის მესვეურებმა და მენეჯერებმა მსოფლიოს ყველა კუთხეში შეარჩიეს და ამერიკაში მიიწვიეს გამორჩეული ცხენოსნები. აქ თავი მოიყარეს ინგლისელმა ჟოკეებმა, ფრანგმა დრაგუნებმა, გერმანელმა ულანებმა, უნგრელმა ჰუსარებმა, ესპანელმა ჯინეტებმა, ნიდერლანდელმა კირასირებმა, ალბანელმა სტრადიოტებმა, ველური ტომების ჯარჩებმა, არაბებმა, კაზაკებმა, ჩერქეზებმა და ქართველებმა, რომელთა შორის იყვნენ, აგრეთვე, ქალებიც.

სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის მხედართა თავშეყრა საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა. ქართველებს, და მათ შორის ქართველ ცხენოსან ქალებს, აქ უხდებოდათ თავიანთი მხედრული ოსტატობის დემონსტრირება. ცხენოსნური სპორტის საერთაშორისო არენაზე მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე არც თუ ისე იოლი იყო მამაკაცის მხარდამხარ მათი გამოსვლა, უთვალავი მაყურებლის გაოცება, მითუმეტეს, ქების, ოვაციებისა და ჯილდოს დამსახურება. ეს მაშინ, როცა ევროპელი და ამერიკელი ქალები საუკეთესო მოჯირითეებად ითვლებოდნენ.

მიუხედავად ამისა, როგორც ქართველმა მამაკაცებმა, ისე ქალებმა მხედრული ხელოვნების უბადლო დემონსტრირებით მომხოვნი მაყურებლის, პრესისა და ოფიციალურ პირთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს, მედლები, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები მიიღეს.

ქართველ ცხენოსან ქალთა ამ წარმატებას საფუძველი მოუმზადა საქართველოს ცხენოსნური სპორტის ხანგრძლივმა ტრადიციამ. უცხოეთში საასპარეზოდ მყოფი მარო სპირიდონის ასული ზაქარეიშვილი-კვიტაიშვილისა, ბარბარე სპირიდონის ასული ზაქარეიშვილი-იმნაძისა და ქრისტინე დავითის ასული ცინცაძე იმ ქართველ ცხენოსან ქალთა ღირსეული მემკვიდრენი არიან, რომელთა შესახებაც რომაელი მისიონერი პავლე მარია ფაიანცელი წერდა: «ცხენოსნობაც იციან, სანადიროდ შიმინო დაჰყავთ ხელით და თან დააქვთ მშვილდისარი და კაპარჭი».

დებს მარო და ბარბარე ზაქარეიშვილებს ცხენოსნობა ბავშვობიდანვე იტაცებდა, მშობლიურ სოფელ სურების (ჩოხატაურის რაიონი) მინდვრებში დაბმულ ცხენს რომ ნახავდნენ, მოახტებოდნენ და ქენებით ქანცს გააცლიდნენ. ზაქარეიშვილების ოჯახში ცხენოსნის სტუმრობა ქალიშვილებისათვის დიდი სიხარული იყო. მაშინ გა-

ჩაღდებოდა ხოლმე შარაზე ცხენების თქარა-თქური.

ბევრით არაფრით განსხვავდებოდა ზაქარეიშვილების ბავშვობისაგან აწ განსვენებული ქრისტინე ცინცაძის ბავშვობა. ქრისტინემ ახალგაზრდობა დაბა ლანჩხუთში გაატარა. პატარაობიდანვე ცქვიტი და მოუსვენარი, სულ იმის ფიქრში იყო, რომ რაიმე მოემიზეზებინა და ახლო-მახლო სოფლებში ნათესავების მოსანახულებლად ცხენით წასულიყო.

ლუკა ჩხარტიშვილმა, რომელსაც არა ერთხელ წაუყვანია უცხოეთში ქართველი ცხენოსნები, გადაწყვიტა საზღვარგარეთ ქართველი მოჯირითე ქალებიც წაეყვანა. მისი არჩევანი თანასოფლელ ქრისტინე ცინცაძესა და ლანჩხუთში გამოთხოვილ მარო ზაქარეიშვილზე შეჩერდა. სოციალური ჩაგრისა და უუფლებობის პირობებში ქალის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა და ისიც საცხენოსნო სპორტში, ხუმრობა არ იყო. ერთის მხრივ, თანასოფლელთა ჯაკიცხვა, მეორეს მხრივ, ხიფათი და დაბრკოლება, თუნდაც ენის უცოდინარობით გამოწვეული, აძნელებდა უცხოეთში გამგზავრებას. საკმაოდ ლამაზი და ახალგაზრდა ქრისტინე ცინცაძის მშობლები და ნათესავები მის გამგზავრებაზე უარს ამბობდნენ. ქალიშვილის დუნიაზე ხეტიალი და ისიც ცხენით, სად გაგონილაო. მაგრამ უცხო სანახაობათა ნახვის სურვილით გატაცებული ქრისტინე მარო ზაქარეიშვილ-კვიტაიშვილთან ერთად «მონგრეულას» პატარა მინდორზე საწვრთნელად გავიდა. გამოცდილი ცხენოსნის ლუკა ჩხარტიშვილის ოსტატურმა ხელმა ორივე ქალი ჩინებულ ფორმაში ჩააყენა.

1908 წელს ლუკა ჩხარტიშვილის მეთაურობით ამერიკისაკენ გაემგზავრა ქართველ ცხენოსანთა გუნდი, რომელშიც შედიოდნენ: ქრისტინე ცინცაძე, ცოლ-ქმარი მარო და ველიკო კვიტაიშვილები, თეიმურაზ და კონსტანტინე ჩხარტიშვილები, იოსებ და ყარამან იმნაძეები, ბათლომე ჯორბენაძე, ხალამპრე პატარაია, ილარიონ ებრალიძე და ბათლომე მშვიდობაძე. რამდენიმე ხნის შემდეგ ნიუ-იორკის საბაჟოს მოხელენი, ნავსადგურის მუშები და სხვა დამხვდურნი განცვიფრებული შეჰყურებდნენ გაწკეპილ, თოფიარაღიან გურულებს, როგორც უცხო სანახაობას. განსაკუთრებულ ინტერესს ორიგინალურად ჩაცმული ქრისტინე და მარო იწვევდნენ, მათი გრძელი კაბები ისე იყო შეკერილი, რომ ამხედრებისას შუაზე იხსნებოდა და ცხენზე ჯდომას არ უშლიდა, ქვეითად სიარულისას კი ერთდებოდა და მთლიანი ჩანდა. მოვარაყებულ და მოჩუქურთმებულ იარაღში ჩამჯდარ ქალებზე განსაკუთრებული იერიში ფოტორეპორტიორებს მიჰქონდათ. მოზღვავებულ ცნობისმოყვარე ხალხში ქართველები ძლივს მიიკვლევდნენ გზას მათთვის განკუთვნილ ადგილსამყოფელისაკენ.

დაბინავებისა და დასვენების შემდეგ ქართველი ცხენოსნები ორ გუნდად გაიყვნენ. პირველი ბუალო-ბილთან და ფონიბილთან დარჩა ნიუ-იორკში საასპარეზოდ, მეორე კი, მარო და ველიკო კვიტაიშვილების, ქრისტინე ცინცაძის, თეიმურაზ ჩხარტიშვილის, ხალამპრე პატარაიას შემადგენლობით და კონსტანტინე ჩხარტიშვილის მეთაურობით ცინცინატში გაემგზავრა ჯანრა-ბუსუნის მიერ მოწყობილ ასპარეზობებში მონაწილეობის მისაღებად.

ამერიკის გადაუხურავ ცირკ-იპოდრომებზე ჯირითის დროს მაყურებელს აოცებდა მარო კვიტაიშვილის მიერ სამი გვერდებჩაკრული ცხენის ჭენება და მათზე ჯირითი. დიდ ინტერესს იწვევდა «ცალი ფეხის ყაბარდული», მაკრატელა, მხარყირა და დგომი მარო კვიტაიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მასობრივ გამოსვლებსა და პანტომიმებში. იგი ხშირად დოლ-მარულის მონაწილეც იყო ვინ მოსთვლის, რამდენჯერ დალუპვია გაჭენებული ცხენი, თვით რამდენჯერ გადარჩენია სიკვდილს. საუკეთესო ოსტატობისათვის მარო კვიტაიშვილი ასპარეზობების ერთერთმა ორგანიზატორმა ალი რიჩნელ-ბროდამ ბრილიანტის ძვირფასი ბეჭდით დააჯილდოვა.

ცხოველ ინტერესს იმსახურებდა ქრისტინე ცინცაძეც, რომლის მომცრო ტანი კოხტად ირხეოდა უნაგირზე. შნოსა და ლაზათთან ერთად იგი მაყურებელთა ყურადღებას იპყრობდა თავის მხედრული გაწაფულობითა და საოცარი გამბედაობით. ერთ-ერთი ჯირითის დროს მას ცხენი წაექცა, ყბა დაჰკრა მიწას და კბილები ჩაემტვრა, მაგრამ უმალ წამოიჭრა, მოევლო ცხენს და განაგრძო ჭენება. ვაჟკაცური საქციელისათვის მხედარი ქალი ძვირფასი კაბა-სამოსით, ფეხსაცმელით, ბეჭდითა და ოქროს საათით დააჯილდოვეს. ოთხი წლის მანძილზე ქრისტინე სამჯერ ჩამოაგდო მისმა საყვარელმა ცხენმა «ნალიმ» და ხელფეხი მოსტეხა, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ ჯიუტად განაგრძობდა ჯირითს ნიუ-იორკსა, ჩიკაგოსა თუ ცინცინატში. ქრისტინე ბრწყინვალედ ასრულებდა გაჭენებულ ცხენზე დგომს ხმლითა და რევოლვერით ხელში, მაკრატელას, მხარყირას, «ცალი ფეხით გადმორებას», დაკიდებას და სხვ. აღსანიშნავია, რომ ქრისტინეს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ამერიკელ ცხენოსან ქალებთან—რინასთან და მეგრისთან. ინტერესმოკლებული არ არის ისიც, რომ მისი მოტაცება რამდენჯერმე სცადეს ამერიკელმა მხედრებმა. მაგრამ უშედეგოდ.

1912 წელს მარო და ქრისტინე დანარჩენ ცხენოსნებთან ერთად სამშობლოში დაბრუნდნენ.

უცხოეთში მორიგი გამგზავრებისას ველიკო კვიტაიშვილმა მეუღლესთან ერთად თან წაიყვანა ცოლისდა ბარბარე, რომელიც თავის უფროს დას მაროს არაფრით ჩამოუვარდებოდა ცხენოსნობაში. ბარბარე წარმატებით გამოდიოდა ამერიკის მთელ რიგ დიდ ქალაქებში. მოხდა ისე, რომ მან თავისი ბედი დაუკავშირა თანაგუნდელ, იმნაძეს და უცხოეთში დარჩა საცხოვრებლად.

მარო ზაქარეიშვილი - კვიტაიშვილისა დღესაც ყოჩაღად გამოიყურება, ლანჩხუთში ცხოვრობს, საკოლმეურნეო შრომაშია ჩაბმული და შვილებსა და შვილიშვილებში ხარობს. მიუხედავად ხანდაზმულობისა იგი მზადაა კვლავ იჯირითოს სამ ცხენზე ერთად.

ა. ცამციშვილი.



მარო ზაქარეიშვილი-კვიტაიშვილისა მიუხედავად ხანდაზმულობისა დღესაც უშიშრად გრძნობს თავს ცხენზე. →



ბარბარე იმნაძე აშშ-ში 1917 წ.

# საინტერესო კოლექცია



. ნინოშვილის ქ. № 16. პატარა დერეფნის კედლები უამრავი პორტრეტებითა და სურათებით არის სავსე... ოთახში ჭერამდე ასული თაროები, კარადები გავსებულია ქართული ნაკეთობის უნიკალური ნიმუშებით.

განა აქ რომელიმე მუზეუმია მოთავსებული? არა. ეს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმისა და ცნობილი მოღვაწის, აწ გარდაცვლილი იოსებ (სოსო) ასლანიშვილის ოჯახია, სადაც მისი და-ძმა ქეთევან და ვახტანგ ასლანიშვილები აგრძელებენ ბიბლიოგრაფიული იშვიათობებისა და უნიკალური ნივთების შეძენის შესანიშნავ და ქართული კულტურისათვის ფრიად სასარგებლო ტრადიციას, რასაც საფუძველი დაუდო სოსო ასლანიშვილმა.

მაგიდაზე გადაშლილია „ვეფხისტყაოსნის" 81 გამოცემა. აქედან 41 გამოცემულია საქართველოში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ აქ არის 1812 წლის ვახტანგისეული გამოცემა, 1883 წელს ქუთაისში, 1891 წელს ოზურგეთში, 1896 წელს ახალ-სენაკში, 1899 წელს ბათუმში გამოცემული „ვეფხისტყაოსანი". ყურადღებას იპყრობს 7 სანტიმეტრი სიგრძისა და $4^1/_2$ სანტიმეტრი სიგანის „ვეფხისტყაოსანი", რომელიც გამოიცა ქართულ ენაზე ბერლინში (ტირაჟი—500).

„ვეფხისტყაოსანი" თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა თითქმის ყველა ენაზე: ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად, იტალიურად, ესპანურად, რუმინულად, უნგრულად, იაპონურად, ჩინურად, ებრაულად —... და ამ გამოცემათა უმრავლესი ნაწილი ჩვენი მასპინძლის თაროებს ამშვენებს.

აი, 1899 წელს დრეზდენში არტურ ლაისტის მიერ გერმანულად გამოცემული, გვერდით კი 1955 წელს ჰუგო ჰუპერტის მიერ ბერლინში გამოცემული, „ვეფხისტყაოსანი". ჰ. ჰუპერტმა დიდი ხანი დაჰყო თბილისში და მთელი ეს დრო ამ უბადლო პოემის თარგმნას მოანდომა. აქვეა მარჯორი უორდროპის მიერ 1912 წელს ლონდონში, ხოლო 1938 წელს მოსკოვში ინგლისურ ენაზე გამოცემული „ვეფხისტყაოსანი".

თუმცა იმედი არ გვქონდა რომ რაიმეს გავიგებდით, მაგრამ მაინც გადავშალეთ ლი ტი-ეს მიერ ჩინურად ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი", რომლის ყდას მხატვარ ირაკლი თოიძის ნახატი ამშვენებს, ფორზაცზე ქართული წარწერაა: „ასლანიშვილების ოჯახს—ხუტა ბერულავა". ეს წიგნი პოეტ ხუტა ბერულავას ჩინეთში ყოფნის დროს შეუძენია და საჩუქრად გადაუცია ასლანიშვილების ოჯახისათვის.

ასეთივე დაინტერესება გამოიჩინა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლ. მარუაშვილმა, რომელმაც რუმინეთიდან ჩამოტანილი 1956 წელს კერბახის მიერ გამოცემული და მხატვარ სერგო ქობულაძის ილუსტრაციებით დამშვენებული „ვეფხისტყაოსანი" გაიმეტა ამ იშვიათი ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად.

დიდი სიფრთხილე მოითხოვა ჩვენგან მასპინძელმა, როდესაც სამი უიშვიათესი „ვეფხისტყაოსანი" გვაჩვენა, რომელიც დიდი სიფაქიზითა და სიყვარულით ჰქონიათ შესრულებული გასული საუკუნეების უცნობ ავტორებს და რომლებმაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ინტერესი გამოიწვია.

დიდ ლამაზ ყდებში აკინძულია უამრავი მასალა, რომელიც ეხება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ირგვლივ სხვადასხვა ენებზე გამოქვეყნებულ კვლევა-ძიებას, საიუბილეო თარიღებს, „ვეფხისტყაოსნის" ცალკეულ გმირთა დახასიათებასა და აღწერას. აქვე შეიძლება ნახოთ მომმე ხალხთა მხატვრების მიერ გრაფიკულად თუ ფერწერით შესრულებული, აგრეთვე ნაქარგები და მარმარილოში ნაკვეთი შოთა რუსთაველის პორტრეტები.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ვახტანგ ასლანიშვილმა შეიძინა 1933 წელს პარიზში გამოცემული ბალმონტისეული თარგმანი.

ქეთევან და ვახტანგ ასლანიშვილები დაუსრულებლად ავსებენ „ვეფხისტყაოსნის" გამოცემისა და მის ირგვლივ შექმნილ სამეცნიერო მასალების კოლექციას. მათი უკანასკნელი შენაძენია პროფესორ ალ. ბარამიძის მონოგრაფიული ნარკვევი „შოთა რუსთაველი".

ხ. ნაციაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტინუკას ტომის ქალები



ნახატი გ. კასრაძის

დასავლეთ ბრაზილიის უღრან ტყეებში ბინადრობს ინდიელების ტომი, რომელსაც ტინუკას ტომს ეძახიან. გარესამყაროს მოწყვეტილი მათი ადგილსამყოფელი შედარებით ნაკლებად არის გამოკვლეული და მატო გროსოს ფეხშეუდგამ ჯუნგლებში მდებარეობს.

ტინუკას ტომში ახლაც დაცულია მატრიარქალური წყობილება. მკვლევარების საერთო აზრით, ტინუკას ქალები სიტურფით ჩრდილავენ სამხრეთ ამერიკის ყველა ტომის ქალებს. ესენი არიან მაღალი, ტანწერწეტა ქმნილებანი, გრძელი ჩამოსხმული ფეხებით, მოქნილი წელითა და სავსე ლამაზი მკერდით. ტომს ბელადად ქალი ჰყავს. ინარჩუნებენ რა პოლიგამიური ცხოვრების თავისებურ ფორმას, აქ ყოველ ქალს უფლება აქვს იყოლიოს სამიდან ხუთამდე ქმარი. სატრფიალო ამბებში, როგორც წესი, ყოველთვის ქალი დგამს პირველ ნაბიჯს. გაუთხოვარი გოგონები მკლავებზე ფრინველის ფრთებს ატარებენ, რაც იმას ნაშნავს, რომ ისინი ქალწულები არიან. ტინუკას ენაზე ქალწულს პ უ ა ნ ა ეწოდება და იგი ამ სახელს ატარებს, ვიდრე ქმარს შეირთავს. მართალია, აქაური ქალი თორმეტი წლის ასაკში უკვე მომწიფებულია, მაგრამ 16 წლამდე მას არა აქვს გათხოვების უფლება, რადგან ამ ასაკამდე იშვიათად უჩნდება შვილი. მანამდე კი მის მკლავებზე გაკეთებული ფრთები გვიჩვენებს, რომ იგი ფრინველივით თავისუფალია, შეუძლია ჰყავდეს იმდენი სატრფო, რამდენიც მოესურვება, 16 წლისა თხოვდება და აქედან მოყოლებული თითქმის 20 წლამდე ყოველ წელს ახალ-ახალ ქმარს ირთავს. ამასთანავე ქალი იტოვებს ყოველგვარ უპირატესობას მამაკაცთან დამოკიდებულებაში. თავისი პრიმიტიული კულტურის დონეზე ტინუკას ქალებს ჩამოყალიბებული აქვთ მკაცრი კანონები, რომლებიც მტკიცედ განსაზღვრავენ მამაკაცების მოქცევის წესებს. თუ ქმარმა შესცოდა სხვა ქალთან და ცოლმა გაუგო, მაშინ, წესის მიხედვით, მას სცემს ცოლიც და ის ქალიც, ვისთანაც მას მიასწრეს. ტომის მარტივი კანონები ყოველმა მკვიდრმა კარგად იცის და იშვიათად თუ ჭცდება ვინმე მათ დარღვევას. ცნობილი პერუელი ანთროპოლოგი დოქტორი კარლოს ანდიერესი, რომელიც 27 თვის განმავლობაში ცხოვრობდა მათთან, იუწყება, რომ კანონის დარღვევის შემთხვევები, რომლებიც მან ნახა, ეხებოდა მხოლოდდამხოლოდ მამაკაცებს. უკანასკნელთა დანაშაული ის იყო, რომ ვერ მოითმინეს და ხელი შეუბრუნეს ცოლებს, რომლებიც მთელი გამეტებით სცემდნენ მათ. ასეთი შემთხვევები ანდიერესის მტკიცებით, ძალზე იშვიათია და სასტიკად ისჯება. თავგასულ ქმარს ბოძზე აკრავენ და ცოლი დაუნდობლად როზგავს მას მთელი ტომის ქალების თანდასწრებით.

ქმრები კანონის მიხედვით უმძიმეს სამუშაოს ასრულებენ. ისინი ხშირად მიჰყვებიან ცოლებს სანადიროდ, თუმცა ძირითადად თვითონ ქალები ნადირობენ, ქმრებს მხოლოდ ნანადირევი მიაქვთ შინ.

20 წლის ასაკიდან ქალი თანდათან კარგავს სილამაზეს—მას ცხელი ჰავა, პრიმიტიული საარსებო პირობები და გადაჭარბებული სექსუალური ცხოვრება ანადგურებს. 27 წლის ქალი უკვე დედაბერივით გამოიყურება და აღარც დიდი ხნის სიცოცხლე უწერია.

ტინუკას მკვიდრნი ადრე იხოცებიან. ანდიერესმა შეამოწმა, რომ ყველაზე ხნიერი პიროვნება ტომში 39 წლისა იყო. ტომის მკვიდრთა მთლიანი რიცხვი 577 კაცს შეადგენდა. ანდიერესი თვლის, რომ ტინუკას ტომი გადაშენების გზაზე დგას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვარცხნილობა









## როგორ დავივარცხნოთ თმა

ყოველმა ქალმა უნდა იცოდეს, რომ ლამაზად დავარცხნილი თმა ერთიორად ამშვენებს სახეს. მაგრამ საჭიროა კი ამისთვის უსათუოდ პარიკმახერს მივმართოთ? არა. ამისათვის საკმარისია გვქონდეს ძალიან მარტივი იარაღები—სავარცხელი, ჯაგრისი თმის მასაჟისათვის, ბიგუდი და ვიცოდეთ მათი მოხმარება.

დაიბანეთ თმა რბილ წყალში ან დაბანის შემდეგ გადაივლეთ ძმრიანი წყალი (ერთ ლიტრ წყალზე 1—2 სუფრის კოვზი ძმარი), შემდეგ შეიმშრალეთ პირსახოცით, ჯერ კიდევ სველი დაივარცხნეთ და ოდნავ დაისველეთ ოდეკოლონით. შემდეგ დაახვიეთ ბიგუდებზე (თმა ბიგუდზე უნდა დაახვიოთ სახის მიმართულებით), როცა გაშრება, მოიხსენით ბიგუდი, დაივარცხნეთ მსხვილკბილა სავარცხელით და ოდნავ გადაისვით ბრიოლინი, რომელიც თმას არბილებს და ბზინვარებას აძლევს. შემდეგ 20—25-ჯერ გადაისვით ჯაგრისი, რომ ბიგუდის კვალი არ დარჩეს. თმა გახდება ელასტიური, მორჩილი და უკვე როგორც გსურთ ისე დააწყობთ. მაგრამ, ვიდრე თმის დაწყობას შეუდგებოდეთ, წინასწარ უნდა გადაწყვიტოთ, თუ როგორი ვარცხნილობა უხდება თქვენს სახეს და ასაკს. ასეთ შემთხვევაში ამგვარი ზეპირი რჩევა არ გამოგვადგება: «თუ თქვენ მოგრძო სახე გაქვთ თმები შუაზე გაიყავით და სადად გადაივარცხნეთ»... რადგან ოდნავ ამაღლებული ლაწვები, სხვა ფორმის შუბლი, და—თმის რეკომენდებული ვარცხნილობა უკვე შეუფერებელი აღმოჩნდება. აბა, დაუკვირდით გამოცდილ ოსტატს, როცა ის თქვენ პირველად გვარცხნით და ცდილობს რაც შეიძლება შესაფერი ვარცხნილობა გამოგიძებნოთ ის თმას ხან ზევით ასწევს, ხან საფეთქლებთან, ხან პირდაპირ გაყოფს, ხან გვერდზე, კულულს ძირს დაუშვებს, ზევით ასწევს.. თქვენც ასე უნდა მოიქცეთ, რომ გამოიტანოთ დასკვნა, თუ რომელი ვარცხნილობა გიხდებათ. თმის დავარცხნა სხვადასხვანაირად შეიძლება: ლამაზად, მაგრამ სადად, თუ თქვენ სამსახურში ან სასწავლებელში მიდიხართ: უფრო საგულდაგულოდ, თუ თეატრში ან კონცერტზე აპირებთ წასვლას და განსაკუთრებით ელეგანტურად—თუ მეჯლისისათვის ემზადებით.



## თმის მოვლის შესახებ

ექვსთვიანი დახვევის შემდეგ თმას განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. თავი უნდა დაიბანოთ წვიმის ან ანადუღარი წყლით 2—3 კვირაში ერთხელ. წყალი არ უნდა დაარბილოთ სოდით ან ბურით, არ უნდა იხმაროთ ისეთი საპონი, რომელიც ბევრ ტუტეს შეიცავს. დაბანის შემდეგ თმაზე აუცილებლად უნდა გადაივლოთ რაიმე მჟავე ხსნარი (ნახევარ ლიტრ წყალზე ერთი ლიმონის წვენი ან 2 კოვზი ღვინის ძმარი). კარგია ბოლოს თმაზე რძის შრატის, აგრეთვე პურის ბურახის ან ლუდის გადავლება, რომელიც ნახევრად განზავებული იქნება ცხელი წყლით. ძალიან კარგია თავის დაბანა მაწვნით (თმებზე ბლომად წაისვით მაწონი, გაიკარით თავი თავსაფრით და 15—20 წუთის შემდეგ კარგად დაიბანეთ ცხელი წყლით).

დაბანის და გაშრობის შემდეგ თმის ბოლოებს ოდნავ უნდა წაუსვათ კასტორის და კაკლის, ან კასტორის და ატმის ზეთების ნარევი.

თუ თმა ძალიან ჩქარა ქონიანდება, კვირაში ერთი-ორჯერ გაიწმინდეთ ერთ ჭიქა წყალში გახსნილი ერთი ლიმონის წვენით ან ბორის სიმჟავით (1 ჩაის კოვზი ბორი 1 ჩაის ჭიქა წყალზე). უნდა იცოდეთ, რომ მზის, ქარის (განსაკუთრებით ზღვისპირა ქარის) ძლიერი მოქმედება, აგრეთვე ზღვის წყალში დასველება ძალიან აზიანებს თმას 6-თვიანი დახვევის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ ჩავიცვათ

## კოსტუმების შესახებ

კარგი გემოვნება იმას ნიშნავს, რომ ადამიანს შეეძლოს სწორად შეუხამოს ერთმანეთს დეტალები და ლამაზის პრაქტიკულთან დაკავშირებით შექმნას ჰარმონიულად შეთანხმებული ტანსაცმელი.

ქალს თავისი გარეგნობის შეფასებისას აუცილებლად უნდა გააჩნდეს თვითკრიტიკის გრძნობა, უნდა შეეძლოს სხვისი თვალებით დაინახოს თავისი თავი.

როცა ჩვენ სხვაზე ჩაცმული ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სამკაული ან კიდევ სხვა რაიმე მოგვწონს, აუცილებლად უნდა წარმოვიდგინოთ როგორი იქნება ის ჩვენზე? ადამიანები სხვადასხვანაირი არიან გარეგნულად და ის, რაც ლამაზი იყო ერთისათვის, შეიძლება საძაგლად გამოიყურებოდეს მეორის ტანზე.

მაგალითად, კოსტუმი ნამდვილად ყველას უხდება და ამასთან პრაქტიკულიცაა, მისი ჩაცმა ყველგან შეიძლება. კოსტუმი უხდება ახალგაზრდებს და მოხუცებს, გამხდრებს და მსუქნებს, მაღლებს და დაბლებს. ის შეიძლება მთელი წლის განმავლობაში ატაროთ. ზაფხულში თხელ ბლუზაზე, გაზაფხულზე — ნაქსოვ თბილ კოფთაზე, ზამთარში — პალტოს ქვეშ.

ბერეტთან და დაბალქუსლიან ფეხსაცმელთან, უბრალო ბლუზით შეგიძლიათ კოსტუმი ყოველდღე ატაროთ. ამავე კოსტუმით, მაგრამ უფრო ძვირფასი ბლუზით, თავსამკაულითა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით თქვენ გამოსასვლელად ხართ გამოწყობილი.

ჟაკეტისა და ქვედატანის სიგრძე დამოკიდებულია არა მარტო მოდაზე, არამედ ტანზეც. ზოგიერთებს შვენის უფრო გრძელი, სხვებს — უფრო მოკლე ჟაკეტი. ასევე ქვედატანიც. ახლანდელი მოდით ქვედატანის სიგრძე უნდა წვდებოდეს წვივების ყველაზე სავსე ადგილს; მაგრამ თუ თქვენ გიხდებათ 2 სანტიმეტრით გრძელი ქვედატანი, არ უნდა შეყოყმანდეთ. შეიძლება ქვედატანს სიგრძე მოუმატოთ ან მოუკლოთ 5 სანტიმეტრის ფარგლებში. ახალგაზრდებს მოუხდებათ უფრო მოკლე ქვედატანი, ხანშიშესულებს — უფრო გრძელი. ქვედატანის სიგრძე დამოკიდებულია თქვენს ფეხებზე, ტანზე და ასაკზე.

წელში ვიწრო, გამოყვანილი ჟაკეტი ძალიან შვენით თხელ, კოხტა ქალებს და ნაკლებ უხდებათ მსუქან ან მოკლეწელიან და დიდ მკერდიან ქალებს. მაგრამ ასეთი ტანის ქალებმა საერთოდ უარი როდი უნდა თქვან კოსტუმზე. კოსტუმი მათაც მოუხდებათ, მაგრამ ჟაკეტი უნდა შეიკერონ სწორი ან ოდნავ ტანზე მომდგარი.



ბორტების სიგრძე დამოკიდებულია მოდაზე და თქვენს გარეგნობაზე. მოკლე კისერს და მრგვალ სახეს, როგორც წესი, უხდება გრძელი ბორტები, კიდევაც რომ მოდაში პირიქით იყოს.

კოსტუმის ქვედატანის იდეალად შეიძლება ჩაითვალოს სწორი ქვედატანი ერთი ან ორი ღრმა, კარგად დაუთოებული ნაკეცით, რომელიც დაგვირისტებული იქნება კორპუსის ყველაზე გამოწეულ ნაკვთზე (მაგრამ ძალიან დაბლა არა, რომ შემდეგ უკან არ გამოიბეროს). ვისაც განვითარებული თეძოები აქვს, იმას ნაკეცები აღარ დასჭირდება: ქვედატანის სიგრძე ისედაც საკმარისი იქნება სიარულისათვის.

ქვედატანიცა და ჟაკეტიც უფრო დახვეწილი იქნება, თუ არ დატვირთავთ ზედმეტი მორთულობით.

(გადმობეჭდილია მოსკოვის მოდების ჟურნალიდან.)

# იმერული სუფრა



## ისპანახის მხალი

გადარჩეული, გარეცხილი 1 კილო ისპანახი მოათავსეთ მდუღარე წყლიან ქვაბში, დაუმატეთ 4-5 ძირი ქინძი, დაახურეთ სახურავი და ხარშეთ ძლიერ ცეცხლზე 15-20 წუთი. შემდეგ გადაიტანეთ საწურზე, შეაგრილეთ, კარგად გაწურეთ და დანით დაკეპეთ. დანაყეთ ერთად 1-1/2 ჩაის ჭიქა ნიგოზი, 1-2 ძირი ქინძი, 2-3 კბილი ნიორი, წიწაკა და მარილი (გემოვნებით); დანაყვისას თანდათანობით გამოხადეთ ზეთი და ცალკე თეფშზე დაასხით. მიღებულ დანაყილ მასაში შეურიეთ 1/2 ჩაის კოვზი დანაყილი გამხმარი ქინძის თესლი, წვრილად დაჭრილი ქინძი, ოხრახუში და ალესეთ ძმარში ან ბროწეულის წვენში, რომელსაც დაუმატებთ ცოტა ისპანახის ნახარშ წვენს. ამაში კარგად აურიეთ ისპანახი და ძალიან წვრილად დაჭრილი 2 თავი უჭი ხახვი. მომზადებული ისპანახი ლამაზად მოათავსეთ თეფშზე ან პატარა მოგრძო ლანგარზე, მოასხით გამოხდილი ნიგვზის ზეთი და მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები.

## რძეში გადაზელილი ყველი

ნახევარკილოიანი ოდნავ მარილიანი იმერული ყველი შუაში გაჭერით, ჩადეთ ქვაბში, დაასხით 2 ლიტრი ცხელი რძე და მოხარშეთ დარბილებამდე. მოხარშული ყველი რძიდან ამოიღეთ, დაასხით ზედ ერთი ჩამჩა ცხელი რძე (რომელშიც ყველი იხარშებოდა) და კოვზით ზილეთ, მერე ეს რძე ისევ მდუღარე რძეში ჩააბრუნეთ; შემდეგ კიდევ დაასხით ყველს 1 ჩამჩა ცხელი რძე, დაზილეთ და რძე ისევ ჩაასხით მდუღარე რძეში. ასე მოიქეცით, სანამ ყველი კარგად არ გადაიზილება და რძე კი ცოტა არ შესქელდება. გადაზელილი ყველი ნაჭრებად დაჭერით და თითო ნაჭერი მოათავსეთ თითო მათლაფაში. შემდეგ რძეში ჩაყარეთ დაჭრილი პიტნა, მოურიეთ და მაშინვე დაასხით მათლაფებში მოთავსებულ ყველს სუფრაზე ცხელ-ცხელი მიიტანეთ.

ამ კერძს ძალიან უხდება ღომი.

## შემწვარი წიწილი ნიგვზით და ნივრით

გასუფთავებული, გარეცხილი წიწილი შეწვით ტაბაკად. 1 ჩაის ჭიქა ნიგოზი და მარილი კარგად დანაყეთ, მერე შიგ აურიეთ დანაყილი 5-6 კბილი ნიორი და 1-1/2 ჩაის ჭიქა ანადუღარ ცივ წყალში გახსენით. ცხელ-ცხელი შემწვარი წიწილი დაჭერით, დააწყვეთ ლანგარზე და ზემოდან დაასხით მომზადებული საწებელი. სუფრაზე ამასთან ერთად მიიტანეთ ცხელი მჭადი.

## ნიგვზის წვენში ჩახარშული შემწვარი ვარია

გასუფთავებული ვარია ტაბაკად შეწვით ტაფაზე, კეცში ან შამფურზე. 2 ჩაის ჭიქა ნიგოზი, 2 ძირი ქინძი, 2-3 კბილი ნიორი, წიწაკა და მარილი (გემოვნებით) ერთად კარგად დანაყეთ, თან ზეთი გამოხადეთ. ზეთის ნაწილი სუფთა ქვაბში ჩაასხით. დაუმატეთ 2-3 სუფრის კოვზი მდუღარე წყალი, ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი 2 თავი ხახვი და კარგად მოშუშეთ. დანაყილ ნიგვზიან მასალაში აურიეთ დანაყილი 2 ძირი ქინძი, 1 სუფრის კოვზი სიმინდის ფქვილი, გახსენით 4-5 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალში, დაასხით მოშუშულ ხახვს და ადუღეთ 10 წუთი. შემდეგ დაუმატეთ გემოვნებით თეთრი ღვინის ძმარი ან ბროწეულის წვენი ან ისრიმის წვენი, დანაყილი მიხაკ-დარიჩინი. დანაყილი ქინძის თესლი, დანაყილი იმერული ზაფრანა და კიდევ ხარშეთ 5 წუთი. ცხელ-ცხელი შემწვარი ვარია დაჭერით, ჩააწყვეთ მდუღარე წვენში, გააჩერეთ ცეცხლზე 3-5 წუთი და გადმოდგით. სუფრაზე მიტანის წინ მოასხით დარჩენილი გამოხდილი ზეთი. თუ კერძი ბროწეულის წვენით შეზავდა. მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები.

## ძროხის ხორცის ხარჩო

500 გრ ძროხის ხორცი (უმჯობესია მკერდის ნაწილი) დაჭერით პატარა ნაჭრებად, ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით 2-2½ ლიტრი წყალი და დადგით მოსახარშად. ადუღებამდე მოხადეთ ქაფი. საათნახევრის დუღილის შემდეგ ჩაუმატეთ 1/2 ჩაის ჭიქა ბრინჯი, წვრილად დაჭრილი 3-4 თავი ხახვი და განაგრძეთ ხარშვა ნელ ცეცხლზე. ხორცის მოხარშვამდე 10-15 წუთით ადრე ჩაუმატეთ 6-8 ძირი წვრილად დაჭრილი ქინძი და ოხრახუში, კარგად დანაყილი 2-3 კბილი ნიორი, წიწაკა და მარილი, მოხარშული და საცერში გატარებული ახალი ტყემალი ან დამბალი და საცერში გატარებული ტყემლის ტყლაპი (გემოვნებით), 1 ჩაის კოვზი ხმელი სუნელი, 1/2 ჩაის კოვზი დანაყილი ქინძის თესლი.

ხარჩო შეიძლება აგრეთვე მომზადდეს ახალი პამიდვრით (400-500 გრ) ან პამიდვრის პიურეთი (1/2 ჩაის ჭიქა); შეიძლება შეზავდეს ძმრით—მაშინ საჭირო აღარ არის ტყემალი, ტყლაპი ან პამიდორი.

ხარჩოს ნიგვზითაც ამზადებენ (დანაყილი ნიგოზი 1-1/2 ჩაის ჭიქა), ამ შემთხვევაში ბრინჯი აღარ დაემატება.

სუფრაზე მიტანისას მათლაფაში ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში ან კამა. ხარჩოსთან მიიტანეთ ცხელი ღომი ან მჭადი.

## შინაური ფრინველის საცივი

შინაური ფრინველი (ინდაური, ქათამი, ბატი ან იხვი) მოხარშეთ ისე, რომ არ გადაიხარშოს. შემდეგ მოაყარეთ მარილი და შეწვით ღუმელში ან შამფურზე. ფრინველის ნახარშ წვენს მოხადეთ ცხიმი, ჩაასხით სუფთა ქვაბში, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი 400 გრ ხახვი და მოშუშეთ. ხანგამოშვებით მოურიეთ კოვზით და დაუმატეთ წვენიდან მოხდილი ცხიმი, რომ ხახვი არ დაიწვას და თანაბრად ჩაიშუშოს 300-400 გრ ნიგოზი, 2-3 კბილი ნიორი, 3-4 ძირი ქინძი, გემოვნებით—წიწაკა და მარილი კარგად დანაყეთ, მერე გახსენით ორ ლიტრ ფრინველის ნახარშ წვენში. ჩაასხით მოშუშულ ხახვიან ქვაბში და ადუღეთ 15-20 წუთი. 5-10 წუთით ადრე, სანამ მზად იქნებოდეს, დაუმატეთ გემოვნებით თეთრი ღვინის ძმარი, 1 ჩაის კოვზი დანაყილი გამხმარი ქინძის თესლი, 1 ჩაის კოვზი დანაყილი იმერული ზაფრანა, დაფქვილი მიხაკ-დარიჩინი და დანაყილი პილპილი (გემოვნებით). შემწვარი ფრინველი ცხელივე დაჭერით, შესაფერ ჭურჭელში ჩააწყვეთ, დაასხით ცხელი საცივი და შეაგრილეთ. სუფრაზე საცივთან ერთად მიიტანეთ ცხელი ღომი ან მჭადი.

თუ გსურთ, საცივს ხარშვის დროს ჩაუმატეთ დაფნის ფოთოლი (რომელსაც მზა საცივიდან ამოიღებთ და გადააგდებთ). შეგიძლიათ აგრეთვე ცალკე ჭურჭელში გათქვიფოთ კვერცხის გული. გახსნათ ცოტა შეგრილებულ საცივში და ჩაასხათ ცხელ საცივში განუწყვეტელი მორევით; ცოტახანს გააჩეროთ ძალიან ნელ ცეცხლზე (არ აგიდუღდეთ, თორემ აიჭრება) და გადმოდგათ.

**თამარ სულაქველიძე.**

რედაქტორი თეო აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
ნომერი გააფორმა ლ. შენგელიამ.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი: სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 25.000. ფასი 3 მან.
შეკვეთის № 87. უე 00952.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали“,
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნორჩი ჩემპიონი სლალომში ლია გოგოლაძე.

ხ 43/71
ეროვნული ბიბლიოთეკა

